# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 12 აგვისტო 1998 №140 (675) ფასი 40 თეთრი


# ფეხბურთმა ნათესაობა არ იცის

## ბასკებს უკვე დავარტყით. ჯერ მხოლოდ დენი

გუშინ, საღამოს 7 საათზე ბილბაოს „ატლეტიკი“ ეროვნულ სტადიონზე ეწვია სავარჯიშოდ. მოედანზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ფეხბურთელებმა ჯერ ირბინეს, შემდეგ კი მოთელვასა და კარში დარტყმების სერიას ორკარა წათამაშება მიაყოლეს და მოედანიც დატოვეს, ჟურნალისტებთან საუბარზე კი უარი განაცხადეს — ასეთია ფერნანდესის ბრძანებაო.

ამ უარის მიზეზი ცოტა მოგვიანებით შევიტყვეთ ბასკების პრეს-ატაშესგან. მანამდე კი გუნდის ვარჯიშისას ბასკეთის ეროვნული რადიოს ორი ჟურნალისტი მოვიხელთეთ და მცირე ხნით ვესაუბრეთ. როგორც გაირკვა, ჩვენმა ბასკმა კოლეგებმა „დინამოზე“ არაფერი იციან, მაგრამ იმედი აქვთ თავიანთი ბიჭებისა, რომელთაგან ყველაზე ძლიერებად იულენ გერერო და ხოსება ეჩებერია მიაჩნიათ ალკორტასა და რიოსთან ერთად. თუმცა ეს უკანასკნელნი თბილისში ვერ ჩამოვიდნენ ტრავმების გამო.

ძალიან გვაინტერესებდა მოსაუბრეთა აზრი ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონ ბიქსენტე ლისარასუზეც. როგორც იცით, იგი წარმოშობით ბასკია და შარშან ბილბაოში გატარებული სეზონის მერე მიუნხენის „ბაიერნში“ გადაბარგდა, რასაც პატარა სკანდალი მოჰყვა. საქმე სასამართლომდეც კი მივიდა. ჰოდა, მასზე თურმე მთელი ბასკეთი ერთს ფიქრობს, ფეხბურთელი კი ძალიან ძლიერია, მაგრამ პიროვნება, მეტი რომ არ ვთქვათ, არ ვარგაო. რატომაო, რომ ვიკითხეთ, გვიპასუხეს, „ატლეტიკში“ ყოფნისას მკურნალობა დასჭირდა, კლუბი თან გადაყვა, ყველა ხარჯი გაიღო, მისი უთამაშებლობისას საკმაოდ მაღალი ხელფასისთვის პესეტაც არ დაუკლიათ, ის კი მერე გერმანიაში გაიპარა. ეგ ნაღდი ბასკური სულის არ ყოფილაო.

ქართულ ფეხბურთზე ბევრი არაფერი იცოდნენ ბილბაოელებმა 81 წლის თასების თასის გარდა.

თბილისი ძალიან მოგვეწონაო, ქაშუეთის ეკლესიაშიც ვიყავით, ბილბაოს ერთ-ერთ კულესიას წააგავსო. ქართული ენაც ჰგავს ბასკურს და ქართველებსაც ბასკური იერ-სახე გაქვთო. კარგი ხალხი ხართ, ნათესავებადაც გვერგებით, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში მაინც ჩვენ გავალთო, დააყოლეს დამშვიდობებისას.

იხილეთ მეორე გვერდი



ბელგრადელი პანტელიჩი როტორელ შმარკოს გაჩერებას ლამობს

თამაში ყველასთან შეიძლება! ორი მატჩის ჯამში ფოთის „კოლხეთის“ 11:0 მომგებ „ცრვენა ზვეზდასთანაც“. ამის თქმა უფრო თამამადაც შეიძლებოდა, გუშინ მსაჯის წამატებულ წუთებში „როტორის“ მეკარე შიშკინი პერიცა ოგნიენოვიჩსა და ლამის პირით ხაზს იქით გასულ ბურთს რომ არ გაჰკიდებოდა და ართმევისას თავდამსხმელი არ წაექცია. ასე დაინიშნა 1:1-ზე მეორე პენალტი რუსთა კარში და „ცრვენამაც“ 2:1 მოიგო. მანამდე კი ვიტალი აბრამოვის ცენტრიდან ცაციათი გატანილმა გოლმა „მარაკანაზე“ მყოფი იუგოსლავიელებიც აღაფრთოვანა და ამ თამაშის მაცქერალი ბათუმელებიც.

# ბათუმი უკვე 0:1-ს აგებს, თუმცა პარტიზანების მაინც არ ეშინია

## ტუმბაკოვიჩი ამტკიცებს: 100% пролазимо!

კობა ინასარიძე

ბელგრადიდან



გუშინდელ იუგოსლავიურ სპორტულ გაზეთ „სპორტ ჟურნალს“ „პარტიზან“ — „ბათუმის“ მატჩისადმი მიძღვნილი წერილი, აქაურთა მწვრთნელის ლიუბიშა ტუმბაკოვიჩის ნათქვამით დაესათაურებინა — „100-პროცენტიანია — გავალთ!“ თანაც დაუმატებია, „პარტიზანი“ ბათუმელებზე ძლიერი გუნდია და შეტევის ხარჯზე ვაიძულებთ სტუმრებს შეცდომები დაუშვან. თუმცა, არ გეგონოთ, უკანმოუხედავად გავიქცეთ ტოგონიძის კარისკენ, ყოველივეს ჭკვიანურად გავაკეთებთო. თითქმის იგივეს იმეორებს მასპინძელთა მცველი ზოლტან საბო, ხოლო თავდამსხმელი დრაგან სტოისავლიევიჩი უფრო თავდაჭერილია — არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენმა მეტოქემ სამი წლის წინ იუგოსლავიის ახლანდელი ჩემპიონი „ობილიჩი“ გამოაბუნძულა თასების თასის საკვალიფიკაციო ეტაპიდან. ქართული გუნდები ყოველთვის გამოირჩეოდნენ კარგი თამაშით და მეტად ტექნიკურები არიან. ეჭვიც არ მეპარება, „ბათუმი“ „ცრვენასგან“ განადგურებულ „კოლხეთზე“ ძლიერი გუნდია, რაზეც საქართველოს თასისა და სუპერთასის მოპოვებაც მეტყველებს. თანაც ბათუმელებმა ორჯერვე ადრე ბელგრადული ოფკ-ს გამანადგურებელი თბილისის „დინამო“ დაამარცხეს. მართალია, „პარტიზანი“ დღეისთვის „ბათუმზე“ ძლიერია, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს. სიფრთხილე გვმართებსო.

ასეა. ბელგრადელები საკმაოდ ყოყოჩობენ და დარწმუნებულები არიან, რომ მათი კლუბი ჩვენსაზე უკეთესია. ეგ კი არა, გუშინ, როცა „პარტიზანის“ ნაღდად მშვენიერ ბაზას ვესტუმრე ბათუმელთა ვარჯიშის სანახავად, იქაურობის დარაჯმაც იგივე გაიმეორა, რაც ტუმბაკოვიჩმა, ეჭვიც არ მეპარება, „პარტიზანი“ მოიგებსო. ასე თავდაჯერებულები რად არიან, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტი კია, თითქმის ყველა „პარტიზანის“ გამარჯვებას წინასწარმეტყველებს „ცრვენა ზვეზდას“ გულშემატკივართა გარდა. თუმცა, ვინ იცის, ისინი ამას იქნებ გულისმოსაფხანად ამბობენ, თორემ, ეგებ თავადაც ასე ფიქრობენ, პარტიზანები ბათუმელებს მოუგებენო.

ქართველებზე, შეიძლება ითქვას, მასპინძელთა ასეთი განცხადებები სასიკეთოდაც მოქმედებს. „ბათუმს“ ბელგრადელებისა არ ეშინია და ბრძოლას გვპირდება. უკეთესია, ილაპარაკონ რამდენიც უნდათ, თავდაჯერებულები გვეთამაშებიან და დაისჯებიანო — აი, ბათუმელთა აზრი, რომლებმაც გუშინ, როგორც გითხარით, „პარტიზანის“ საწვრთნელი ბაზის ძირითად მინდორზე ივარჯიშეს 11 საათზე რადგანაც საღამოს „ცრვენა ზვეზდა“ — „როტორის“ მატჩის საცქერლად გაეშურნენ. ერთი ჩვეულებრივი ვარჯიში იყო, ფეხბურთელები დიდად არც გუშინ დატვირთულან, კვადრატი და მეკარეთა დაბომბვა გახლდათ სულ.

იხილეთ მეორე გვერდი

## უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები. 11 აგვისტო

UEFA CUP

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — როტორი (რუსეთი) 2:1
1:0 შკორიჩი (60პ), 1:1 აბრამოვი (61), 2:1 ოგნიენოვიჩი (90პ)
ფერენცვაროში (უნგრეთი) — აეკ (საბერძნეთი) 4:2
1:0 სელიმი (10), 2:0 ლენდვაი (29), 3:0 ნილაში (54), 4:0 ვინცეე (83), 4:1 ნიკოლაიდისი (90), 4:2 სებვე (90)
ეკერენი (ბელგია) — სერვეტი (შვეიცარია) 1:4
0:1 რეი (21პ), 0:2 ვოლფი (36), 0:3 რეი (51), 0:4 დიურიქსი (79), 1:4 მორპაი (85)
არჯესი (რუმინეთი) — ისტანბულსფორი (თურქეთი) 2:0
1:0 მუტუ (33), 2:0 ბარბუ (45)
მიოლდე (ნორვეგია) — ცსკა (ბულგარეთი) 0:0
გიოტებორგი (შვედეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 2:1
1:0 ჰერმანსონი (37), 1:1 სენტურკი (49), 2:1 პერსონი (74)
მურა (სლოვენია) — სილკებორგი (დანია) 0:0
რეინჯერსი (შოტლანდია) — პაოკ (საბერძნეთი) 2:0
1:0 კანჩელსკისი (55), 2:0 ულესი (68)
სლავია (ჩეხეთი) — ინტერი (სლოვეკთი) 4:0
1:0 ვაგნერი (23), 2:0 კოზელი (55), 3:0 სკალა (72), 4:0 ვაგნერი (90)
ბრანი (ნორვეგია) — ჟალგირისი (ლიტვა) 1:0
1:0 კვისვიკი (75)
ვისლა (პოლონეთი) — ტრაბზონსფორი (თურქეთი) 5:1
1:0 დუბიცკი (3), 2:0 კოვალიკი (33), 2:1 ვუგრინეკი (66), 3:1, 4:1 კოვალიკი (71, 80), 5:1 ზაიაცი (89)
ვეილე (დანია) — ოცელული (რუმინეთი) 3:0
1:0, 2:0 ვაელი (31, 41), 3:0 სოეგაარდი (62)
ჰაპოელი (ისრაელი) — სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) 1:0
1:0 ტუბი (75)
ოსიეკი (ხორვატია) — ანდერლახტი (ბელგია) 3:1
1:0 კრპანი (29), 2:0 პრიჩი (54), 2:1 კლაიესი (80), 3:1 ვრანიეში (81)
ომონია (კვიპროსი) — რაპიდი (ავსტრია) 3:1
0:1 ვაგნერი (22), 1:1 რაუფმანი (42), 2:1 მალეკოსი (46), 3:1 რაუფმანი (57)
ვაასა (ფინეთი) — გრაცი (ავსტრია) 0:0
პოლონია (პოლონეთი) — დინამო (რუსეთი) 0:1
0:1 გუსევი (54)
ჰაიდუკი (ხორვატია) — მალმიო (შვედეთი) 1:1
1:0 ბრაიკოვიჩი (44), 1:1 ბიარნასონი (72)
სიგმა (ჩეხეთი) — კილმარნოკი (შოტლანდია) 2:0
1:0 კრომერი (27), 2:0 კოენიგი (79)

## ინტერტოტოს თასის ფინალი

პირველი მატჩები. 11 აგვისტო

INTERTOTO CUP

ვერდერი (გერმანია) — ვოივოდინა (იუგოსლავია) 1:0
1:0 ფრაი (74)
ბოლონია (იტალია) — რუხი (პოლონეთი) 1:0
1:0 კოლივანოვი (44)
ზალცბურგი (ავსტრია) — ვალენსია (ესპანეთი) 0:2
0:1 ანგულო (6), 0:2 შვარცი (44)



# ბრაზილიას ლუქსემბურგო გაწვრთნის

ვანდერლეი ლუქსემბურგო გუშინ ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა.

ლუქსემბურგო 46 წლისაა. ფეხბურთელობისას ერთობ უსახური გახლდათ, შესაბამისად ნაკრებში არასდროს მიუწვევიათ და მხოლოდ სამწვრთნელო მოღვაწეობის დაწყების შემდეგ გაითქვა სახელი. გუშინდლამდე ლუქსემბურგო სან პაულუს „კორინტიანსის“ თავკაცად მუშაობდა.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ვანდერლეი ლუქსემბურგომ „კორინტიანსს“ სამჯერ მოაგებინა პაულისტას, ანუ სან პაულუს შტატის ჩემპიონის ტიტული, ორჯერ კი „პალმეირასი“ ბრაზილიის ჩემპიონი გახადა.

პირველად ლუქსემბურგომ ყურადღება 1990 წელს მიიპყრო, როდესაც პატარა, პროვინციული კლუბი „ბრაგანტინო“ პაულისტას ჩემპიონად აქცია. შემდეგ იგი სათავეში თვით „ფლამენგოსა“ და „სანტოსს“ ედგა, თუმცა ბრაზილიის საზღვრებს გარეთ არც ოდესმე უთამაშია და არც მწვრთნელად ყოფილა.

ტეტრაკამპეონთა ახალი თავაცი დახვეწილი, შემტევი ფეხბურთის მიმდევრადაა ცნობილი. ქვეყნის ახალდაწყებულ ჩემპიონატში „კორინტიანსმა“ მისი ხელმძღვანელობით პირველი ოთხი თამაში მოიგო, გასულ შაბათს კი „ატლეტიკო მინეიროს“ 5:1 სძლია.

# ფეხბურთმა ნათესაობა არ იცის

დასაწყისი პირველ გვერდზე

მალე ვარჯიშიც გასრულდა და ჟურნალისტები ლუის ფერნანდესის პრესკონფერენციაზე მიგვიხმეს. ფრანგმა თითქმის იგივე გაიმეორა მეტოქეზე და მომავალ მატჩზე, რაც ჩამოსვლისას აეროპორტში თქვა და გუშინდელ „სარბიელში" უკვე გაუწყეთ.

უფრო საინტერესო გამოდგა საუბარი „ატლეტიკის" პრეს-ატაშესთან, ვისაც „დინამოს" ორივე მატჩი უნახავს ალბანელებთან, თუმცა ჩვენებზე ვერც კარგი თქვა რაიმე და ვერც ცუდი. დღევანდელ თამაშზე კი, რთული და ძნელი მოსაგები იქნებაო, გვითხრა. ფეხბურთელების ჟურნალისტებთან დაუბრება კი იმით ახსნა, რომ ერთ-ერთი მათგანისთვის საშხაპეში დენს ოდნავ დაურტყამს და ისინიც ვარჯიშის დასრულებისთანავე სასტუმროში გავუშვით დასაბანადო. სტადიონი თუ მოგეწონათო, რომ ვკითხეთ, გულიანად გაიცინა და არაფერი გვიპასუხა.

ბოლოს ლუის ფერნანდესის ბილბაოში მოღვაწეობის შეფასება ვთხოვეთ. ამისთანა მწვრთნელი ბევრი არ არის, ჩვენც ძალიან მოხარულნი ვიქნებით, თუ გაისად, კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ კიდევ დარჩება „ატლეტიკშიო".

ორიოდ წამში კი ამ ჩვენმა პრეს-ატაშემ თვით ფერნანდესს პრესკონფერენციის დამთავრება სთხოვა და სასტუმროსკენ გაეშურნენ.

**გაიოზ თალაკვაძე**

მადლობას ვუხდით ესპანური ენის ჩინებულ მცოდნე ეკა ჯაფარიძეს, ვინც ბასკებთან თარჯიმნობა გაგვიწია.

# ანგარიში არ გვაინტერესებს. უნდა მოგიგოთ!



იულენ გერერო

**სტუმართაგან ყველაზე მეტ ინტერესს, ცხადია, ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი იულენ გერერო იმსახურებდა. ჩვენც შანსი არ დაგვიკარგავს და ინტერვიუ ვთხოვეთ.**

**— როგორი განწყობით ჩამოხვედით თბილისში?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ დიდ პატივს ვცემ თბილისის „დინამოს" და ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ თამაშს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს შეხვედრა არ იქნება ადვილი გასეირნება და ყველაფერს ვილონებთ, რომ იგი ჩვენთვის სასურველად წარიმართოს.

**— რაიმე თუ იცით ქართველი ფეხბურთელების და საერთოდ, ქართული ფეხბურთის შესახებ?**

— სამწუხაროდ, ბევრი არაფერი. თბილისის „დინამოს" შესახებ წარმოდგენა ალბანეთის „ვლაჟნიასთან" შეხვედრით გვაქვს შექმნილი, მაგრამ მე ვიცი, რომ საქართველო მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყანაა და აგრეთვე ვიცი, რომ თქვენ ყველა სფეროში საერთო ევროპულ დონეზე ცდილობთ გასვლას. ბუნებრივია, გამონაკლისი არც ფეხბურთი იქნება.

**— რა შედეგს გეგმავთ თბილისში?**

— ანგარიშს ჩემთვის აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, გავიმარჯვოთ, რისთვისაც ძალებს არ დავზოგავთ.

**— ტრავმები ხომ არავის აწუხებს?**

— ორი-სამი მცირე ტრავმა მართლაც იყო, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერს ეშველა და ყველა ფეხბურთელი თბილისშია, თანაც საუკეთესო ფორმაში. ასე რომ, ვფიქრობ კარგი ფეხბურთი უნდა ვაჩვენოთ გულშემატკივარს.

**— როგორ მიგაჩნიათ, „ატლეტიკის" მიერ მოპოვებული ვერცხლის მედლები გასულ ჩემპიონატში რით უფრო იყო განპირობებული, გუნდის საგრძნობი გაძლიერებით თუ ესპანეთის წამყვანი კლუბების, „რეალის", და „ატლეტიკოს" ნაკლებად წარმატებული თამაშით?**

— ჩვენ ესპანეთის ჩემპიონატში 38 შეხვედრა ჩავატარეთ. ეს ცოტა ხომ არ არის? ამრიგად, შემთხვევითობა აბსოლუტურად გამორიცხულია. საქმე ის კი არ არის, რომ სხვებმა ჩვენზე უფრო სუსტად ითამაშეს და ამით მოგვცეს წინ გასვლის საშუალება, უბრალოდ, ჩვენი მეორე ადგილი რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობით არის განპირობებული. ფეხბურთელებმაც მოვუმატეთ და მთლიანად გუნდიც შეთამაშდა. ბასკები თავმდაბალი ხალხი ვართ და არ გვიყვარს ბევრი ლაპარაკი. ჩუმად, უპრეტენზიოდ ვმუშაობთ და შედეგსაც ამგვარად ვაღწევთ.

**— როგორ მიგაჩნიათ, ესპანეთის ნაკრების წარუმატებელი გამოსვლა მსოფლიოს ჩემპიონატზე შემთხვევითობას უფრო უნდა მივაწეროთ, თუ ეს კანონზომიერად მიგაჩნიათ?**

— პრინციპში, ჩვენ უკეთეს შედეგს ველოდით, მაგრამ ასე არ გამოვიდა. რას იზამ, ეს სპორტია და აქ ყველაფერი არ ექვემდებარება ლოგიკას. თუმცა, რადგან ქვეჯგუფიდანაც კი ვერ გავედით, ჩანს, ამაშიც იყო გარკვეული ლოგიკა და კანონზომიერება, ნაწილობრივ მაინც...

**— უახლოეს მომავალში გუნდის გამოცვლას ხომ არ აპირებთ?**

— ძალიან კარგ გუნდში ვთამაშობ, აქ ყველაფრით კმაყოფილი ვარ და ამიტომ სხვაგან არც მიმიწევს გული. ნამდვილად არსად ვაპირებ გადასვლას.

**— ფეხბურთისადმი ბასკების დამოკიდებულების შესახებ ბევრი მსმენია. თქვენ ფეხბურთელი კი არა, უბრალო ბასკი რომ ყოფილიყავით, რა იქნებოდა ფეხბურთი თქვენთვის?**

— ფეხბურთი ჩვენი ეროვნული სიამაყეა. სპორტის ეს სახეობა ბასკთა თვითგამოხატვის თავისებური ფორმაა. წარმოიდგინეთ, ჩვენთან ბავშვი რომ იბადება, მაშინვე ჩუქნიან „ატლეტიკის" სათამაშო ფორმას. ალბათ, ეს ფაქტიც კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის ფეხბურთი.

*იულენ გერეროსთან საუბარს რომ მოვრჩით, ბილბაოს „ატლეტიკის" ვიცე-პრეზიდენტი ინიაკი გოირი დავიმარტოხელეთ.*

**— რას ისახავთ მიზნად ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში?**

— ჩვენთვის ის ფაქტი, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვმონაწილეობთ, თავისთავად უკვე ძალიან მნიშვნელოვანია. წინასწარ შედეგის თქმა გამიჭირდება, მაგრამ ცხადია, ვეცდებით, რაც შეიძლება უკეთ ვითამაშოთ, თუმცა წარუმატებლობის შემთხვევაში ცხვირს არ ჩამოვუშვებთ, რადგან ეს ჩვენი დებიუტია ჩემპიონთა ლიგაში.

**— „ატლეტიკამდე" ლუის ფერნანდესი „პარი სენ-ჟერმენში" მუშაობდა. მას იქ უკეთესი პირობები ჰქონდა იმ მხრივ, რომ შეეძლო სხვადასხვა ფეხბურთელების შეძენა. თქვენ კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ ბასკებს ათამაშებთ, ხომ არ ექმნება ამის გამო ფერნანდესს სირთულეები?**

— ფერნანდესი ჩვენთან ორი წელია, მუშაობს. ახლახან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი „ატლეტიკთან", რაც დიდი პატივია ჩვენთვის, რადგან ასეთი სახელის და კვალიფიკაციის მწვრთნელები დიდი ხნის განმავლობაში არ რჩებიან კლუბებში. ფერნანდესი ყოველმხრივ კმაყოფილია ჩვენი პირობებით და არც არავითარ სირთულეს არ განიცდის. ასე რომ, ყველაფერი წესრიგშია.

**— ფერნანდესს ვერაფრით დავაცდენინეთ შემადგენლობა, რომელსაც იგი თბილისში გამოიყვანს. იქნებ თქვენ გვითხრათ?**

— წარმოდგენაც არა მაქვს. საერთოდ, ეს მწვრთნელის კომპეტენციაა და კლუბში არავის აქვს უფლება, ჩაერიოს მის საქმეში. შემიძლია დაგისახელოთ შემადგენლობა, რომლითაც სავარაუდოდ ითამაშებს „ატლეტიკი" ახალ სეზონში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „დინამოსთანაც" სწორედ ამ ფეხბურთელებს გამოიყვანს, ან ესპანეთის ჩემპიონატშიც რაიმე არ შეიცვლება. მაშ ასე, მეკარე ეჩებერია, კარლოს გარსია, რიოსი, ლაკრუსი, ლარანსაბალი, ურუტია, ალკისა, იმასი, ხორხე პერესი, გერერო, ურსაისი. ეს არის და ეს...

**— „ატლეტიკში" გამოირჩეოდა ლისარასუ, რომელიც მერე „ბაიერნში" გადავიდა მიუხედავად იმისა, რომ დარჩენას სთხოვდნენ. ამან საკმაო მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ნაწყენები ხომ არ არიან ფეხბურთელზე?**

— ძალიან, ძალიან ნაწყენები ვართ. არა იმიტომ, რომ გადავიდა, ეს ნორმალური იქნებოდა, არამედ იმიტომ, რომ ლისარასუ დაგვპირდა, კლუბში დავრჩებიო, შემდეგ კი 24 საათში შეცვალა გადაწყვეტილება და მიგვატოვა. ეს არ არის ვაჟკაცური საქციელი.

**— ლისარასუმ არცთუ ურიგოდ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატში.**

— ამას ნამდვილად ვერ უარვყოფთ. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ მოგვექცა ჩვენ ლისარასუ. იგი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. მისი ბრწყინვალე თამაში კიდევ უფრო დასაფასებელია იმის გამო, რომ მას ექვსი თვის განმავლობაში მძიმე ტრავმა აწუხებდა და ვერ თამაშობდა, მაგრამ საკმაოდ მალე აღიდგინა საჭირო კონდიციები და ჩადგა მწყობრში. შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში შევხვდეთ მიუნხენის „ბაიერნს" და მაშინ კი ვუჩვენებთ სეირს. ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

**— ესპანეთის ნაკრების თამაშს საფრანგეთში როგორ შეაფასებდით?**

— ესპანეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში გუნდების რაოდენობა უფრო დიდია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამიტომ ეროვნულ ჩემპიონატში თამაში ჩვენ უფრო დიდხანს გვიწევდა. ამის გამო ნაკრებს აღარ დარჩა საკმარისი დრო შეთამაშებისთვის და მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ნაკრები შესანიშნავი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული, მათ მაინც ვერ მოახერხეს სასურველი შედეგის მიღწევა.

**— ასეთი შედეგის შემდეგ სხვა შემთხვევაში მწვრთნელი შეიძლება დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ თანამდებობიდან. ხავიერ კლემენტე კი დარჩა და განაგრძობს საქმიანობას. რამ განაპირობა ეს?**

— ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კლიმენტე შესანიშნავი პიროვნებაა და ყველა ფეხბურთელს ძალიან უყვარს. ამიტომ მოთამაშეებმაც მხარი დაუჭირეს. გარდა ამისა, იგი ბრწყინვალე ფსიქოლოგიც არის და ყველას კარგად ესმოდა, რომ ფრანგული შოკიდან გუნდის გამოყვანას მასზე უკეთ ვერავინ შეძლებდა. ვფიქრობ, ეს მართებული გადაწყვეტილება იყო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფერნანდესი ამ თვისებებით ძალიან ჰგავს კლემენტეს.

**— მოკლედ, მწვრთნელითაც და ფეხბურთელებითაც უკმაყოფილო არ ჩანხართ.**

— ახლა „ატლეტიკი" აღმასვლას განიცდის და ეს ძალიან გვახარებს. ვეცდებით, ეს ხვალაც დავამტკიცოთ ჩვენი თამაშით.

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა"**

# ბათუმი უკვე 0:1-ს აგებს, თუმცა პარტიზანების მაინც არ ეშინია

# ტუმბაკოვიჩი ამტკიცებს: 100% пролазимо!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ძირითადი მინდორი კი იმად ვახსენე, რომ პარტიზანთა საწვრთნელ ბაზაზე სულ ხუთი სავარჯიშო გაზონია მშვენიერი საცხოვრებელი კორპუსით, საუნით, აუზითა და ტრენაჟორებით. ბაზამ მართლაც საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა. „ბათუმი" ამან თუ შეაშინა, ვარჯიშისას ხუმრობდნენ, 0:1-ს უკვე ვაგებთ, ჩვენ როდის ველირსებით ასეთ პირობებსო.

ბელგრადში საკმაოდ ზომიერი ტემპერატურაა, დარია. თავად ქალაქისგან კი თურმე აჩრდილიღა დარჩენილა იმ ბელგრადთან შედარებით, ტიტოს დროს რომ იყო. ამას თვითონ ბელგრადელები ამბობენ, ომებმა მთელი ქვეყანა და ყველა ქალაქი გაგვიჟერანაო. მაგრამ, ცოტა არ იყოს, მეეჭვება აქაურთა ასეთი სიტყვანი სინანულისანი, რადგანაც დღევანდელი ქალაქი თუ ძველებურს ასე ძალიან ჩამოუვარდება, წარმომიდგენია, თავის დროზე ბელგრადი სან სიტი იქნებოდა. მარტო დუნაისა და სევას შესართავთან მდებარე კალემეკდანის ანტიკური ციხე-ქალაქი რად ღირს, სხვა ღირსშესანიშნაობებზე რომ არაფერი ვთქვა...

ბოლოსთვის ორი ახალი ამბავიც: 13-ში ალბათ ტრავმირებული ზურაბ მინდაძეც ითამაშებს, რომელმაც გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა, თუმცა მარტო მარჯვენა ფეხს ხმარობდა, რადგანაც მარცხენა ისევ შეშუპებული აქვს. გმირობა მინდა, თქვა ზურამ, თამაშის წინ ორ გამაყუჩებელ ნემსს გავიკეთებო. თუ ასე მოხდა, ცუდიც იქნება და კარგიც. ცუდი ნემსია, კარგი კი მისი თამაში, ჭეიშვილს ალბათ მარცხენა ფრთის პრობლემა აღარ ექნება. მეორე ცნობა უფრო სატელეტური ანტენებისა და „აიეტი ტვ"-ის მფლობელთ გაახარებს: 13-ში ჩვენი დროით თერთმეტის ნახევარზე ტელევიზორები „ევროსპორტის" არხზე გადართეთ და „პარტიზან" — „ბათუმის" მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს იხილავთ.

ახლა კი ბოდიში, „ცრვენა ზვეზდა" — „როტორის" მატჩზე მიმეჩქარება...

# გვინდა განჯური ჩათვლები?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ხომ ბევრი „საგმირო" საქმე ჩაუდენია და ამათ შორის ხუთი წლის წინანდელი განჯის მატჩიცაა. ის შეხვედრა, ის ამბები ახლა ნამდვილად არ გაგვახსენდებოდა, ჩვენი (ღმერთმა უწყის რომელი) ნაკრები დღეს აზერბაიჯანში რომ არ თამაშობდეს.

თუ კი ფედერაციამ ნაკრებისთვის მეტოქე ეძია ასეთად აზერბაიჯანი გამონახა, ამაში ცუდი რა არისო, იქნებ იკითხოთ. კარგიც რაა არის? მაგრამ ახლა ამაზე ნუ ვიტყვით.

იმ ხუთი წლის წინ იყო ფედერაციამ ალექსანდრე ჩივაძეს დებიუტი რომ მოუწყო. თავდაპირველი ჩანაფიქრითა და ნებასურვილით ნაკრების ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია იმ არაოფიციალურ მატჩში უნდა შემდგარიყო, რომლის შედეგიც თითქოსდა არც ისე ძნელი გამოსაცნობი გახლდათ.

სხვაგვარად კი მოხდა. ეგრეთწოდებულმა კლუბების ნაკრებმა, რომელიც მეორე დღეს საქართველოს თასის ფინალში მოთამაშე „დინამოსა" და „ბათუმის" ფეხბურთელების გარეშე დაკომპლექტდა, განჯაში 0:1 წააგო. ამ მატჩის აზერბაიჯანელი არბიტრი ამბობდა ოქმში რამდენსაც მინდა, იმდენ გაფრთხილებას ჩავწერო. ასეც მოიქცეოდა, რადგან ეს მატჩი, თითქოსდა ფიფას მიერ რეგისტრირებული არ იყო, მაგრამ ნაკრებს საერთაშორისო რეიტინგში კი რატომღაც მაინც ჩაეთვალა.

რაღა შორს მივდივართ. შარშანწინ იყო დღევანდელის მსგავსმა, რამდენიმე უფროსით გაძლიერებულმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლიბანსი ეროვნულ გუნდთან ორჯერ რომ წააგო და რატომღაც ის ორი მატჩიც პასივში ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ჩაეთვალა.

ახლა ესა ვთქვათ, რამდენი ხნის წინ იცოდა ფედერაციამ, რომ 12 აგვისტოს „დინამოს" ბილბაოს „ატლეტიკისთვის" უნდა ემასპინძლა. რამდენი ხნით ადრე იცოდა, რომ დინამოელები განჯაში ვერასგზით წავიდოდნენ. ჩემპიონთაგან ეს პატივი მხოლოდ ტირანაში გაძევებულ ლევან კობიაშვილს ერგო.

რა მოხდება ახლა? მოვიგებთ განჯაში თუ წავაგებთ? შეიტანენ ამ მატჩსაც ეროვნული ნაკრების შეხვედრათა ნუსხაში თუ არა? ეს ან ერთმა-ორმა კაცმა უწყის და ან სულაც არავინ, რადგან ფედერაცია ამაზე არ დაფიქრებულა.

ახალგაზრდათა თავკაცმა გიგლა იმნაძემ ეროვნული ნაკრების მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევის რჩევით აზერბაიჯანს ეს ფეხბურთელები იახლა:

*მეკარეები:* იოსებ გრშიკაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), გიორგი გაბელია (თსუ)

მცველები: მამუკა წერეთელი (ალანია, რუსეთი), გიორგი დავითნიძე (მერანი), ზურაბ ფოფხაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გიორგი ჭანკოტაძე (ვიტ ჯორჯია)

*ნახევარმცველები:* გოჩა ჯამარაული (უკლუბოდ), გიორგი ლუდუშაური (უკლუბოდ), ლაშა მონასელიძე (ლოკომოტივი), ლევან კობიაშვილი (დინამო), გიორგი რევაზიშვილი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გია ჩხაიძე, კახა კვეტენაძე (ორივე ტორპედო), ალექსანდრე კაიდარაშვილი (დილა)

თავდამსხმელები: გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი), გიორგი მეგრელაძე, გიორგი ყიფიანი (ორივე ტორპედო)

**ვახტანგ ბზიკაძე**

# ჩვენც მწარედ მოგვატყუეს

ბოლნისში გამართული მეათე ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩს „სიონსა" და ლანჩხუთის „გურიას" შორის დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შეხვედრის შემდეგ მსაჯობით უკმაყოფილო სტუმართა თავკაცმა ჯონი ჯანელიძემ თავის შეგირდებს განუცხადა, გუნდთან ერთად გურიაში ვერ წამოვალ, რადგან გეგმები შეიცვალა და ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში სარჩელი უნდა შევიტანოო. ესეც თქვა, თუ ჩემს პროტესტს არ დააკმაყოფილებენ, შემდეგ ტურში „გურიას" სათამაშოდ არ გავიყვან, ეს ყოველივე ლანჩხუთის გამგებელთანაც შევათანხმეო.

გუშინწინ ფედერაციის წინ ბატონი ჯონი შევნიშნეთ თუ არა, უმალ კითხვით მივმართეთ. მან დაგვიდასტურა, სარჩელი უკვე შევიტანეთო. როგორც შემდეგ გაირკვა, „გურიას" თავკაცმა შეცდომაში შეგვიყვანა.

ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში პროტესტის წარდგენა მატჩის დამთავრებიდან 48 სთ-ში უნდა მოხდეს და მომჩივანმა მხარემ გარკვეული თანხაც უნდა გადაიხადოს. ორშაბათს, ჩვენთან საუბრის შემდეგ, ლანჩხუთელებს კიდევ 6 საათი ჰქონდათ დარჩენილი საამისოდ, მაგრამ არ ვიცით, უფულობის თუ უიმედობის გამო გუნდის მწვრთნელებს ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ.

სიმართლე გითხრათ, „სიონი" — „გურიას" თამაშს გასაპროტესტებელი არც არაფერი ჰქონდა, მაგრამ ყველამ თავისი საქმე იცის. თუმცა, ჩვენ რაღას გვერჩოდნენ, ვერ გავიგეთ. არქიტექტორ ნამორაძის მდგომარეობაში ჩავარდნილ ჟურნალისტებს ისღა დაგვრჩენია, ქართველ გულშემატკივრებს მივმართოთ: „გვაპატიეთ, მაგრამ ჩვენც მწარედ მოგვატყუეს".

**ხვიჩა სანიძიძე**

საქართველოს X ჩემპიონატი
1 ტური

# ემოციაც, სენსაციაც, ფეხბურთიც

მეათე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური ერთი მოულოდნელი კანონზომიერებით აღინიშნა: ჩატარებული რვა მატჩიდან უმეტესობაში წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს (დაგვეთანხმებით, საკმაოდ უცხო ხილია ჩვენი პირველობისთვის). სამი მოგებული მატჩი, ოთხი ფრე და ერთიც მარცხი — ასეთია სტუმართა შედეგი წლევანდელი სეზონის პირველ ტურში. ის ერთადერთი დამარცხებაც ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა აგემა თანაქალაქელ არმიელებს. სწორედ ჩემპიონის და დებიუტანტის ამ მატჩით გაიხსნა მეათე ეროვნული. „არსენალად" სახელცვლილმა ასკ-მა მთელი შარშანდელი სეზონი ტრიუმფით განვლო და რა გასაკვირია, რომ ეროვნულ სტადიონზე თავშეყრილი 500 (გასკდი, გულო!) მაყურებელი თანაბარ თამაშს მოელოდა. დებიუტანტმა დიდებულად დაიწყო და უკვე მე-8 წუთისთვის ანგარიშიც კი წაიყვანა. გაშვებულმა გოლმა დინამოელები გაალიზიანა და მათაც ბედვნად არ ეყოთ კორღალიძის შეგირდები. აშვეთიამ, კიკნაძემ, მელქაძემ და ორჯერ ხომერიკმა ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს „ა ლა ბარტეზ" თავგადაპარსულ ჩლაიძეს.

ამ მატჩში საყურადღებო ერთიც იყო, ლევან ხომერიკმა ჩემპიონატების ისტორიაში თავისი 105-ე გოლი გაიტანა, რითაც აქამდელ უპირველეს ბომბარდირ ოთარ კორღალიძეს დაეწია. ახალი რეკორდის დამყარება ლევანისთვის უახლოესი მატჩის თუ არა, ტურების საქმეა.

თუ „დინამოსთვის" წლეულს ვინმეს კონკურენციის გაწევა ძალუძს, ასეთად „ლოკომოტივიც" უნდა მივიჩნიოთ. რკინიგზელების ამბიციები ლამის სანახევროდ მათთან გადაბარგებულმა გორის „დილამაც" გააძლიერა და უეჭველია, ისეთი მოაზროვნე მწვრთნელის ხელში, როგორიც თემურ მახარაძეა, „ლოკომოტივი" არაერთ მეტოქეს დაუფრთხობს ანგელოზებს.

ძნელია, „ცრვენა ზვეზდას" მიერ დატორილი „კოლხეთის" ოპტიმალურ დონეზე ვისაუბროთ, მაგრამ შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფოთელთათვის შინ ქულისართმევაც კი საპატიოა ნებისმიერი ქართული გუნდისთვის. „ლოკომოტივმა" ზღვისპირა ქალაქში ღირსეულ ფრეს გამოჰკრა ხელი და კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი საევროპო ამბიციები.

ტურის ყველაზე სუსტ შეხვედრად უცილოდ „მერანი" — „სამგურალი" უნდა ჩაითვალოს. იმერლებმა შარშან მოახერხეს და სამი ქულა აართვეს მასპინძლებს გასვლაზე. არავის ეგონა, რომ ტრანსპორტელები წლეულს შურს არ იძიებდნენ, მაგრამ სეზონის წინ აუტსაიდერად შერაცხულმა „სამგურალმა" საკმაოდ სწორი ფეხბურთი დაუპირისპირა მატჩის ფავორიტს, ოთხმოცდაათიდან დაახლოებით სამოცდაათი წუთი თავის ნახევარზე დაჰყო და იმერეთს ქულით ხელდამშვენებული დაუბრუნდა. რაც შეეხება „მერანს", მისი თავდასხმა სასურველის შთაბეჭდილებას აშკარად ვერ ტოვებს, გუნდის წინა რიგებს მეტი სიმწვავე სჭირდება.

პირველმა ტურმა თავისი სენსაციაც შემოგვთავაზა. აბა, სხვა რა უნდა ვუწოდოთ წლევანდელი თასისა და სუპერთასის მფლობელის შინაურ მარცხს „ვიტ ჯორჯიასთან". ასეთი სენსაციები უფრო სასიამოვნო სიურპრიზად უნდა მოვიხსენიოთ და რაც მეტად მიაღწევენ მსგავს შედეგებს საშუალო გუნდები, მით უფრო დაძაბული და საინტერესო გახდება ჩვენი ეროვნულიც. ისევე, როგორც „სამგურალმა" „მერანისთვის" „ვიტ ჯორჯიამაც" ბათუმელთა უხერხული მეტოქის სახელი დაიგდო და თუ შარშან ხუთი, წლეულს სამი (უკვე სამი) ქულა დააკარგინა ზღვისპირელებს.

ყველასთვის ცნობილია, რაოდენ ძნელია (და უხერხულიც) ბოლნისელი გულშემატკივრების წინაშე თამაში. შარშან გავარდნას გადარჩენილი „სიონიც", უეჭველია, აქედანვე ეცდება პირველ ჯგუფში დასარჩენად საჭირო ქულების დაგროვებას და ამისთვის არაფერზე დაიხევს უკან. „გურიასთან" მატჩსაც საკმაო რეზონანსი მოჰყვა ჩვენს სპორტულ პრესაში. პუბლიკაციათა საერთო შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, გამარჯვება უფრო გურულებს ეკუთვნოდათ და ეს მატჩი სწორედ იმათ რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ბედიც ყველაზე ნაკლებად წყდება მწვანე მინდორზე. მთელმა შეხვედრამ, ფაქტობრივად, ორი ფეხბურთელის დუელში ჩაიარა და მელაძე — შაკიაშვილის დუეტიც უცილოდ ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული იყო მთელ ტურში. რაც შეეხება გუნდების მომზადების დონეს, „სიონმაც" და „გურიამაც" თითქმის მთლიანად ჩააგდეს სეზონისწინა მზადების პერიოდი და აშკარა აუტსაიდერებივით გამოიყურებიან.

სეზონის წინ არც თსუ-ს ახალგაზრდულ გუნდს ულხინდა. ეს-ესაა ბედიღბალგადაწყვეტილი სტუდენტები კიდევ კარგად გაუძალიანდნენ წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს. ქუთაისელებმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვეს, თითქოს ნახევარი ძალით ეთამაშნენ მეტოქეს და ამ მატჩის ანგარიში სანახევროდღა თუ ასახავს მეტოქეზე მათს უპირატესობას. ისიც სათქმელია, რომ „ბათუმისა" და „კოლხეთის" კვალობაზე „ტორპედომ" („დინამომაც") ღირსეულად დაიცვა თავისი პრესტიჟი და მის მომავალ მეტოქეებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ.

დროებითი ჩამოქვეითების შემდეგ სამტრედიელები ახალი სახელით დაუბრუნდნენ პირველ ჯგუფს და პირველად გაახარეს თავიანთი გულშემატკივარი. ერთ დროს ბევრი გუნდისთვის ზუგდიდიდან ქულის (არაფერს ვამბობთ მოგებაზე) წაღებაც კი პატივი იყო, მაგრამ ამჟამად შესუსტებული და თითქმის უპატრონოდ მყოფი „ოდიშის" დამარცხება დიდი ბედენა რამ არ გახლავთ.

რუსთავის „გორდასა" და გორის „დილას" ახალგაზრდული გუნდის მატჩმა მასპინძელთა განუწყვეტელ შეტევებში ჩაიარა. თუმც კი არც გორელები ყოფილან ჯაბანნი და ისინიც დროდადრო მეტად მწვავედ „ჩხვლეტდნენ" მასპინძლებს. ანგარიშიც სტუმრებმა გახსნეს. ამის შემდეგ თითქმის მთელი მეორე ტაიმი მეფოლადენი ვარლამ კილასონიას მეთაურობით უშედეგოდ უტევდნენ, მაგრამ შესანიშნავად მოთამაშე მდივანის კარის დალაშქვრა ვერა და ვერ მოხერხდა. ის კი არა, მეკარემ კახა ალადაშვილის პენალტის მოგერიებაც შეძლო. უფროსი კილასონიას თავგამოდებამ მხოლოდ 84-ე წუთზე გამოიღო ნაყოფი: მაჯვენა ფრთაზე მისი მორიგი რეიდი მენთეშაშვილის ეფექტური გოლით დასრულდა.

ტური გაფრთხილებათა უჩვეულო (ჩვენთვისაც კი) სიმრავლით აღინიშნა, ოცდაორი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი (გახსნის რვა მატჩისთვის) განვლილი მსოფლიოს ჩემპიონატის ფონზეც შთამბეჭდავი რიცხვია და ჩვენს ფეხბურთელებს ამაზეც მართებთ ყურადღების გამახვილება. მსაჯები, ასე გულუხვად რომ აფრიალებდნენ ბარათებს მარცხნივ-მარჯვნივ და შარშანდელივით ცდებიან, ღმერთს უნდა უმადლოდნენ, რომ ჯერ-ჯერობით საქმე არ გამწვავებულა და სერიოზულ სკანდალამდე არ მისულა (თუმცა „გურიას" თავკაცმა ჯონი ჯანელიძემ ერთი ხანობა სფფ-ს დისციპლინარულ კომისიაში საჩივრის შეტანა დააპირა).

პირველი ტური მაყურებელთა სიმცირითაც გამოირჩა. რვიდან ექვს მატჩს საშუალოდ ხუთასი კაცი ესწრებოდა და თუ ოქმის მიხედვით ვიმსჯელებთ, მხოლოდ ბათუმში, ზუგდიდში, ბოლნისსა და ფოთში მოიყარა თავი გულშემატკივართა სოლიდურმა რაოდენობამ. არადა, ჩემპიონატის გახსნა და პირველი ტური ახლახან დამთავრებული მსოფლიოს პირველობის გამო ფეხბურთისადმი ინტერესგანელებულ ქომაგთა ცოტა მეტ ყურადღებას კი იმსახურებდა.

გოლების მხრივ ეს რვა მატჩი უფრო საშუალოთა თანრიგს მიეკუთვნება. თვრამეტი ბურთი რვა მატჩში (საშუალოდ 2,25). აქედან გამომდინარე, დავასკვნით, რომ მთლიანობაში მეათე ეროვნულის პირველ ტურში მეტნაკლებად თანაბარი გუნდები ვიხილეთ. იყო ლამაზი გოლები, იყო ცალკეულ ფეხბურთელთა ეფექტური მოქმედებანი, ემოციაც, სენსაციაც და ისიც, რასაც წინასწარ ველოდით...

თქმით კი ჯერ ვერავინ ვერაფერს იტყვის, წინ კიდევ ოცდაცხრა ტურია და ჩვენც, როგორც ყველა, წიწილებს შემდგომაზე დავითვლით.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

გუშინდელ „სარბიელში" თსუ-ს ძირითად მეკარედ ნიკურაძის მაგივრად მერლანი გვეწერა. ეს შეცდომა სტუდენტთა მუდმივნომრიანობამ და ოქმში უშუალოდ მატჩის წინ შეტანილმა ცვლილებამ დაგვაშვებინა.

---

თბილისი
6 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75000)

## დინამო 5:1 არსენალი

0:1 კაკაშვილი (8), 1:1 აშვეთია (12), 2:1, 3:1 ხომერიკი (18, 44), 4:1 კიკნაძე (71), 5:1 მელქაძე (89)

**დინამო:** გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დოდავა (ა. სახვაძე 83), დ. მუჯირი (ლ. კობიაშვილი 46), გუჩუა, კიკნაძე, ალექსიძე (ლ. მელქაძე 76), აშვეთია, ცქიტიშვილი, ხომერიკი

*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, კვარაცხელია, ქემოკლიძე, გ. შენგელია.

**არსენალი:** ჩლაიძე, ფირცხალავა, ცერცვაძე (ყუფარაძე 46), ვ. გველესიანი, თევზაძე, მ. მაისურაძე, ყოლბაია (ამირიძე 63), ლომიძე, კორღალიძე, კაკაშვილი (ლაცაბიძე 46), ტარიელაშვილი

*სათადარიგონი:* აბაშიძე, გ. კაპანაძე, გ. სულაძე, ქიქავა

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ს. შალამბერიძე; ზ. დარჩია (ყველა თბილისი)

**სფფ-ს დელეგატი:** კ. ყრუაშვილი

---

ფოთი
6 აგვისტო
18 საათი
ფაზისი
2000 (ტევადობა 6000)

## კოლხეთი 0:0 ლოკომოტივი

**კოლხეთი:** ქვაჩახია, ქუნთელია, ტორჩინავა, ქუტიძე, გიორგობიანი, კალანდაძე, მ. ქობულაძე (გოროზია 44), სუხიაშვილი (შავგულიძე 71), დ. ნოზაძე, გვასალია, წივწივაძე

*სათადარიგონი:* ჩემია, პაპავა, ჯლამაძე, ბაჩილავა, კრასოვსკი

**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, კაციაშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, ქვარცხავა (ბაქრაძე 70), მარლიშვილი, კ. მელქაძე, დაუშვილი, ხორგუაშვილი (გ. ქორიძე 43), ნ. მინდიაშვილი (კოტორაშვილი 54)

*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, არსოშვილი, ერაძე, მ. მინდიაშვილი

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)

**სფფ-ს დელეგატი:** ვ. მელაშვილი

---

თბილისი
7 აგვისტო
18 საათი
სინათლე
500 (ტევადობა 2000)

## მერანი 0:0 სამგურალი

**მერანი:** ლომაია, ივანიშვილი (ხარებავა 89), ე. ალადაშვილი, დავითნიძე, დანელია, ჯიშკარიანი, ჭინჭარაული, ცქიფურიშვილი, ბაჯელიძე (დევიძე 67), ხუციშვილი, მესხი

*სათადარიგონი:* ნაჭყეპია

**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, კოლუაშვილი, დ. ჭელიძე, მახვილაძე, ი. ხაჭაპურიძე, ლონღაძე (დარსაძე 68), ფაიქიძე (ზ. ქუთათელაძე 80), თევდორაძე (უგულავა 46), ჯანაშია

*სათადარიგონი:* ბობოხიძე, ლ. ქობულაძე, ფილიპაშვილი, ძაგნიძე

**გაფრთხილება:** ჯანაშია (18), ივანიშვილი (26), თევზაძე (63), ჯიშკარიანი (83), ჭელიძე (83), ხაჭაპურიძე (90)

**მსაჯები:** ს. კახიანი, ვ. ჩოჩოშვილი, ზ. მენთეშაშვილი; თ. ლაცაბიძე (ყველა თბილისი)

**სფფ-ს დელეგატი:** მ. კობიაშვილი

---

ბათუმი
7 აგვისტო
18 საათი
დინამო
5000 (ტევადობა 18000)

## ბათუმი 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 გ. გვაზავა (18)

**ბათუმი:** ტოგონიძე, გოგიტაძე (აფხაზავა 46), ღლონტი, სიჭინავა, მაქაცარია (კანტიძე 46), ვერემჩუკი, მ. მახარაძე, ჭიჭველიშვილი, ტულუში, მაჭუტაძე, რუსია

*სათადარიგონი:* მალაყმაძე, გადელია, რომანაძე, ყულეჯიშვილი, პაპიძე

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, მენთეშაშვილი, ჭანკვეტაძე, ჯ. მუჯირი, თ. ბოკერია (ზ. გვაზავა 74), აბაზაძე, ი. კაპანაძე (კვიციანი 87), მაისურაძე, ლ. ნოზაძე, გოჩაშვილი (ლამბაშიძე 83), გ. გვაზავა

*სათადარიგონი:* გუგუნავა, ენუქიძე, ჭოხონელიძე, ვ. ქუთათელაძე

**გაფრთხილება:** მაისურაძე (27), გ. გვაზავა (32)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ცირდავა (გულრიფში); ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კობერიძე

---

ბოლნისი
8 აგვისტო
18 საათი
თემურ სტეფანია
2000 (ტევადობა 3000)

## სიონი 2:2 გურია

0:1 მელაძე (43), 1:1 შაკიაშვილი (75), 1:2 მელაძე (86), 2:2 შაკიაშვილი (90)

**სიონი:** დალაქიშვილი, გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ძნელაძე, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, პოზოიანი, გ. ჯაფარიძე (გაგუა 46), ჯაგიდისი (ქობელაშვილი 63), მოსეშვილი (გოგოლაძე 46)

*სათადარიგონი:* ბერიძე, ფოფხაძე, დ. სვანიძე, ფ. არჩვაძე

**გურია:** გოგუა, კაკაჩია, კუკულაძე, ი. ბუხრიკიძე, ინიაშვილი (იობიძე 80), ლორია, ფაცურია (ზ. კვეკვესკირი 68), გიორგაძე (თიბილაშვილი 68), დ. მახარაძე, მელაძე, ბულუხია

*სათადარიგონი:* ვარდანიძე, ჩიკვილაძე, პატარაია

**გაფრთხილება:** ინიაშვილი (18), ბულუხია (36), თ. სამხარაძე (61), კვეკვესკირი (71), გაგუა (78), გოგუა (87)

**გაძევება:** ბულუხია (55)

**მსაჯები:** თ. ლორთქიფანიძე, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი)

**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. ანთიძე

---

მცხეთა
8 აგვისტო
18 საათი
არმაზი
600 (ტევადობა 3000)

## თსუ 1:3 ტორპედო

0:1 ჯანაშია (19), 0:2 ვაშაკიძე (31), 1:2 ბახტაძე (73), 1:3 კვეტენაძე (84)

**თსუ:** ნიკურაძე, გ. ილურიძე, ზამთარაძე (ჭიაბრიშვილი 65), თ. კობიაშვილი, კ. სვანიძე, ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, ბახტაძე, ჭუმბურიძე (ნინუა 85), როსტიაშვილი

*სათადარიგონი:* მერლანი, სულაძე, ინწკირველი, არჩვაძე

**ტორპედო:** ასლანაძე, თურმანიძე, ი. ვაშაკიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (იონანიძე), პ. ჯინჭარაძე, ჩხეტიანი, ჯანაშია, მეგრელაძე (ყიფიანი 70)

*სათადარიგონი:* მამარდაშვილი, ჩხაბერიძე, მ. ჯინჭარაძე

**გაფრთხილება:** ილურიძე (14), პ. ჯინჭარაძე (35), ყიფიანი (89)

**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ქარქაშაძე (თბილისი)

**სფფ-ს დელეგატი:** უ. ფურცელაძე

---

ზუგდიდი
8 აგვისტო
18 საათი
ცენტრალური
2000 (ტევადობა 6000)

## ოდიში 0:1 იბერია

0:1 ამაშუკელი (57პ)

**ოდიში:** ნაყოფია, კაკულია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ლ. ჯაბუა, კ. კვეკვესკირი, იოსავა, ჯოჯუა (თოლორაია 75), კუტალია, ჩიქობავა (ჭურღულია 46), ჯურხაძე (შედანია 46)

*სათადარიგონი:* გოგია, აკობია, ცაცუა, ტაბალუა

**იბერია:** ა. ლაბაძე, სადილიანი (ნიკოლეიშვილი 66), ქობესაშვილი, გეგეშიძე, ს. გიგიაძე, ამაშუკელი, ჩომახიძე (მუმლაძე 75), ხუჭუა (ივერიანი 46), ვ. გიგიაძე, დარასელია, ბრეგვაძე

*სათადარიგონი:* ჩაჩუა, მიქელთაძე, გ. ლურსმანაშვილი, გ. ჭელიძე

**გაფრთხილება:** ნაყოფია (27), ჭურღულია (47)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ. კოკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; ჟ. მაჭარაშვილი (ყველა ქუთაისი)

**სფფ-ს დელეგატი:** ვ. პანოვი

---

რუსთავი
8 აგვისტო
18 საათი
ფოლადი
200 (ტევადობა 10700)

## გორდა 1:1 დილა

0:1 თაყაძე (41), 1:1 მენთეშაშვილი (84)

კ. ალადაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (78)

**გორდა:** ბედიაშვილი, ხუჯაძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, ზ. ლაბაძე (მჭედლიძე 46), ლ. ალადაშვილი (დ. მენთეშაშვილი 46), კ. ალადაშვილი

*სათადარიგონი:* მ. ქორიძე, დ. წიკლაური, კოპალიანი

**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, მაისურაძე (გუდურაშვილი 53), მარეხაშვილი (აკოფიანი 61), ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, შატაკიშვილი (ჩიტაია 87), თაყაძე, ლ. გოჩაშვილი

*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, ახალკაცი

**გაფრთხილება:** თაყაძე (54), კაიდარაშვილი (63), ციცქიშვილი (81)

**მსაჯები:** ე. სილაგავა, კ. თბილელი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)

**სფფ-ს დელეგატი:** ბ. ქარქაშაძე

---

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 2 - | ხომერიკი | დინამო |
| | მელაძე | გურია |
| | შაკიაშვილი | სიონი |
| 1 - | ამაშუკელი | იბერია |
| | აშვეთია | დინამო |
| | ბახტაძე | თსუ |
| | გ. გვაზავა | ვიტ ჯორჯია |
| | ვაშაკიძე | ტორპედო |
| | თაყაძე | დილა |
| | კაკაშვილი | არსენალი |
| | კ. კვეტენაძე | ტორპედო |
| | კიკნაძე | დინამო |
| | ლ. მელქაძე | დინამო |
| | დ. მენთეშაშვილი | გორდა |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |

### სიმბოლური ნაკრები

მიხეილ აშვეთია — დინამო
გრიგოლ გვაზავა — ვიტ ჯორჯია
რატი ალექსიძე — დინამო
მამუკა მელაძე — გურია
კოტე მელქაძე — ლოკომოტივი
დავით ჯანაშია — ტორპედო
ირაკლი ვაშაკიძე — ტორპედო
ვასილ მაისურაძე — ვიტ ჯორჯია
არჩილ შაკიაშვილი — სიონი
პაატა ჯინჭარაძე — ტორპედო
დავით მდივანი — დილა

გუნდი ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე ვიტ ჯორჯია

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | +4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | +4 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 2 | ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 |
| 4 | იბერია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 |
| 5 | გურია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 | სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 7 | დილა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 | გორდა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 9 | კოლხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 10 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 11 | მერანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 12 | სამგურალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 13 | ოდიში | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | — | — | — | — | — | — | — |
| 14 | ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | — | — | — | — | — | — | — |
| 15 | თსუ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | — | — | — | — | — | — | — |
| 16 | არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | -4 | 0 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | -4 | 0 |

# საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეთა განაცხადები

საქართველოს ჩემპიონატი

პარასკევის „სარბიელში" რვა გუნდის საჩემპიონატო განაცხადი ხომ გაახლეთ და დანარჩენისაც დღეს იხილეთ. თუ პირველი ტურის შეხვედრათა ოქმებში ისეთი მოთამაშენიც აღმოაჩინოთ, რომელთა გვარს აქვე ვერ იპოვით, ნუ გაიკვირვებთ, გუნდებმა ახალგაზრდა ფეხბურთელები დებულების თანახმად მეორეჯგუფელ ფარმ-კლუბებში წარადგინეს.

## გორდა
### რუსთავი

| | |
|---|---|
| კახა ალადაშვილი | 30.08.75 |
| სანდრო ბურნაძე | 26.07.74 |
| პავლე ბექაური | 20.01.72 |
| ვალერი ზირაქაძე | 19.04.78 |
| ამირან კედელაშვილი | 10.07.76 |
| ვარლამ კილასონია | 13.08.67 |
| დავით კოპალიანი | 28.09.78 |
| ზურაბ ლაბაძე | 27.02.77 |
| დავით მენთეშაშვილი | 28.01.76 |
| ხვიჩა მჭედლიძე | 12.01.78 |
| მიხეილ სახვაძე | 30.11.77 |
| ნორმენ ტარტარაშვილი | 26.12.65 |
| მამუკა ქორიძე | 12.11.68 |
| ირაკლი ხუჯაძე | 20.12.76 |

მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

პრეზიდენტი: ვალერი ქოქიაშვილი

წავიდნენ: ბ. შენგელია (დინამო), ფეზუაშვილი (დილა), ჩუხუა (ურალანი, რუსეთი), ლაშა სილაგაძე (სკონტო, ლატვია), ზ. მენთეშაშვილი (ვიტ ჯორჯია), ჭიაბრიშვილი, დ. არჩვაძე, ცომაია (სამივე თსუ), ყიფიანი (ტორპედო), ა. ბოკერია (ვიტ ჯორჯია), ზ. გვაზავა (ვიტ ჯორჯია), კუდინოვი , (ორივემ თამაში მიატოვა), პავლიაშვილი (უცნობია)

მოვიდნენ: ბურნაძე (ლოკომოტივი, სანკტ პეტერბურგი, რუსეთი), ვ. კილასონია (ყუბანი, რუსეთი), ი. ხუჯაძე (ლოკომოტივი), ტარტარაშვილი (სიონი)

## გურია
### ლანჩხუთი

| | |
|---|---|
| მამუკა ბულუხია | 28.10.71 |
| ივანე ბუხრიკიძე | 16.12.72 |
| გია გიორგაძე | 06.10.67 |
| გია გოგუა | 04.05.70 |
| ოთარ ვარდანაძე | 31.12.74 |
| ოთარ თიბილაშვილი | 18.02.65 |
| ზაზა ინიაშვილი | 04.12.69 |
| რატი იობიძე | 08.08.71 |
| ბაადურ კაკაჩია | 18.05.67 |
| ზაზა კვეკვესკირი | 18.09.74 |
| მერაბ კუკულაძე | 18.12.69 |
| თემურ ლორია | 18.10.71 |
| დავით მახარაძე | 11.10.68 |
| მამუკა მელაძე | 14.02.74 |
| თენგიზ პატარაია | 11.02.74 |
| ირაკლი ფაცურია | 22.12.77 |
| ვასილ ჩიკვილაძე | 28.07.72 |

მწვრთნელი: ჯონი ჯანელიძე

პრეზიდენტი: ამირან წილოსანი

წავიდნენ: ქიქავა (არსენალი), განევი, ჩხეტია (ორივე უცნობია)

მოვიდნენ: ინიაშვილი (მერანი), გიორგაძე, კაკაჩია, დ. მახარაძე (კოლხეთი), ბუიშვილი, ჩიკვილაძე (ორივე მაღაროელი), იობიძე (სამგურალი), ი. ბუხრიკიძე (მერანი), მელაძე (გორდა)

## დილა
### გორი

| | |
|---|---|
| ვახტანგ აკოფიანი | 15.08.75 |
| ნოე არუთინიანი | 01.06.78 |
| ლევან გოჩაშვილი | 26.08.79 |
| მიხეილ თაყაძე | 21.07.79 |
| თამაზ ილურიძე | 04.11.75 |
| ალეკო კაიდარაშვილი | 02.11.78 |
| დავით მაისურაძე | 23.08.78 |
| დავით მდივანი | 14.07.70 |
| ვლადიმერ სამხარაძე | 25.07.75 |
| პაატა ფეზუაშვილი | 14.08.78 |
| ქ.ფორე შატაკიშვილი | 04.08.79 |
| გიორგი ჩიტაია | 12.07.78 |
| თამაზ ციცქიშვილი | 15.10.76 |
| რევაზ ხაჭაპურიძე | 01.12.74 |

პრეზიდენტი: ზვიად შერმადინი

მწვრთნელი: ივანე თაყაძე

წავიდნენ: ხორგუაშვილი, მარლიშვილი, ბალაშვილი, თარხნიშვილი, მ. მინდიაშვილი (ყველა ლოკომოტივი), რევაზიშვილი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ხ. გაგნიძე (ცხინვალი), ჯ. გაგნიძე, ტაბატაძე (ორივემ თამაში მიატოვა), ლომიძე (არსენალი)

მოვიდნენ: ვლ. სამხარაძე (ცხინვალი), ფეზუაშვილი (გორდა), არუთინიანი (უცნობია)

## იბერია
### სამტრედია

| | |
|---|---|
| ბესო ამაშუკელი | 01.01.72 |
| კობა ბაკურაძე | 25.04.75 |
| გოჩა ბრეგვაძე | 25.06.71 |
| ვალერიან გეგეშიძე | 05.02.72 |
| ვასო გიგიაძე | 17.03.77 |
| სოსო გიგიაძე | 17.03.77 |
| გიორგი დარასელია | 17.09.68 |
| დათო ვარდიაშვილი | 03.10.75 |
| სევასტი თოდუა | 13.05.76 |
| ავთო ლაბაძე | 28.05.73 |
| დათო ლორთქიფანიძე | 1971 |
| გელა ლურსმანაშვილი | 23.07.70 |
| მამუკა მესიაჩენკო | 1974 |
| ზაზა მიქელთაძე | 20.01.74 |
| შალვა მუმლაძე | 18.08.78 |
| გიგა ნიკოლეიშვილი | 21.01.78 |
| კობა სადილიანი | 27.11.71 |
| ოთარ ფხაკაძე | 25.03.77 |
| ზაზა ქობესაშვილი | 12.09.72 |
| ზაზა ჩაჩუა | 27.08.78 |
| შოთა ჩომახიძე | 17.11.72 |
| გია ჭელიძე | 07.04.72 |
| დათო ხუჭუა | 25.04.73 |

პრეზიდენტი: ნუგზარ ნიკოლაიშვილი

მწვრთნელი: ბადრი ქორიძე

მოვიდნენ: სადილიანი (ტორპედო), დარასელია (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), გ. ლურსმანაშვილი (ივერია), ჩაჩუა, მესიაჩენკო, ლორთქიფანიძე, ვარდიაშვილი, ბრეგვაძე (ყველა უცნობია)

## კოლხეთი
### ფოთი

| | |
|---|---|
| სპარტაკ ბაჩილავა | 23.02.79 |
| ელდარ გვასალია | 15.03.72 |
| ირაკლი გიორგობიანი | 14.07.71 |
| კახა გოროზია | 18.02.72 |
| ჯუმბერ კალანდაძე | 01.03.69 |
| გიორგი კრასოვსკი | 20.07.79 |
| დავით ნოზაძე | 07.04.69 |
| ელგუჯა პაპავა | 26.01.74 |
| გიორგი სუხიაშვილი | 24.09.71 |
| ვალერი ტორჩინავა | 01.02.69 |
| ზურაბ ქვაჩახია | 25.09.73 |
| მიხეილ ქობულაძე | 07.09.74 |
| გოგიტა ქუნთელია | 06.03.71 |
| ილია ქუტიძე | 21.01.75 |
| ზაველ ღლანიძე | 17.05.72 |
| ლევან შავგულიძე | 23.11.80 |
| ჯონი შალამბერიძე | 25.09.75 |
| ბიძინა ჩემია | 24.02.80 |
| შალვა ჩხენკელი | 22.12.78 |
| ჰამლეტ ნივნივაძე | 28.01.74 |
| თემურ ჯღამაძე | 28.05.77 |

წავიდნენ: მიქაბერიძე, მ. გვასალია (ორივემ თამაში მიატოვა), კაკაჩია, დ. მახარაძე, გიორგაძე (სამივე გურია), ინალიშვილი (უცნობია)

მოვიდნენ

მოვიდნენ: კალანდაძე (ოდიში), შალამბერიძე (თსუ), შავგულიძე (მარგვეთი), გოჩა ჭანტურია, ლეჟავა, ჩაგანავა (სამივე ფაზისი)

## ოდიში
### ზუგდიდი

| | |
|---|---|
| ლევან ანჯაფარიძე | 01:05.75 |
| ირაკლი ბარქაია | 14.07.76 |
| შოთა გოგია | 05.08.72 |
| გრიგოლ თოლორაია | 9.01.78 |
| დავით იოსავა | 05.01.79 |
| მანუჩარ კუტალია | 21.02.77 |
| კობა კვეკვესკირი | 02.10.67 |
| მიხეილ კიპაროიძე | 15.01.70 |
| პაატა ლურსმანაშვილი | 19.03.71 |
| მამუკა ნაყოფია | 21.01.72 |
| კობა ტაბაღუა | 26.03.74 |
| თემურ ღურწკაია | 12.04.68 |
| მანუჩარ ცაცუა | 22.01.79 |
| სევერიან ჩიქობავა | 20.07.74 |
| ლუხუმ ჯაბუა | 18.06.76 |
| გია ჯურხანაძე | 14.02.75 |

მწვრთნელი: ელგუჯა ქომეთიანი

პრეზიდენტი: ?

წავიდნენ: ებრალიძე (ტორპედო), სოლოლაშვილი (დინამო), გაბელია (თსუ), ცქიფურიშვილი (მერანი), კალანდაძე (კოლხეთი)

მოვიდნენ: ღურწკაია, კ. კვეკვესკირი (ორივე გურია), კიპაროიძე (მაღაროელი), ცაცუა, ჩიქობავა (ორივე ოდიში 2)

## სამგურალი
### წყალტუბო

| | |
|---|---|
| შოთა დარსაძე | 12.02.74 |
| მალხაზ თევდორაძე | 21.07.73 |
| გრიგოლ თევზაძე | 6.04.64 |
| რამაზ კოლუაშვილი | 11.08.70 |
| მიხეილ მახვილაძე | 22.07.78 |
| ზვიად სტურუა | 25.04.78 |
| თემურ უგულავა | 31:05.73 |
| თემურ ფაიქიძე | 23.11.69 |
| ლევან ფილიპაშვილი | 30.08.78 |
| შალვა ფრანგიშვილი | 08.12.75 |
| ლევან ქობულაძე | 27.01.73 |
| შალვა ღონღაძე | 17.08.78 |
| გელა ძაგნიძე | 19.05.75 |
| დავით ჭელიძე | 6.09.72 |
| ილია ჯავახაძე | 29.06.73 |
| კახა ჯანაშია | 23.07.73 |
| ირაკლი ხაჭაპურიძე | 11.11.77 |

პრეზიდენტი: გრიგოლ ქათამაძე

მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე

წავიდნენ: მ. თევზაძე (არსენალი), გ. ვაშაკიძე, ვ. ჯანელიძე, დ. ჯანელიძე (სამივე უცნობია)

მოვიდნენ: უგულავა (იბერია), ლ. ქობულაძე (ტორპედო), ფაიქიძე (უცნობია)

## სიონი
### ბოლნისი

| | |
|---|---|
| ფრიდონ არჩვაძე | 01.12.78 |
| დავით ბერიძე | 11.11.76 |
| ვახტანგ ბუხრიკიძე | 21.03.77 |
| ლავრენტი გაგუა | 19.08.76 |
| მურმან გოგოლაძე | 10.07.70 |
| კახა გოდერძიშვილი | 09.06.74 |
| ნუგზარ დალაქიშვილი | 01.03.71 |
| ბახვა მოსეშვილი | 01.01.73 |
| სეირან პოზოიანი | 07.05.64 |
| ვახტანგ სამხარაძე | 16.06.68 |
| თემურ სამხარაძე | 05.09.74 |
| მირზა სამხარაძე | 12.12.76 |
| დავით სვანიძე | 14.10.74 |
| ზურაბ ფოფხაძე | 08.03.73 |
| გიორგი ქობელაშვილი | 02.06.63 |
| გიორგი ყიფშიძე | 06.08.61 |
| არჩილ შაკიაშვილი | 20.11.73 |
| გიორგი ძნელაძე | 30.08.68 |
| ჯონი ჯაგიდისი | 26.06.62 |
| დავით ჯაფარიძე | 04.04.78 |
| კახა ჯაფარიძე | 25.01.80 |
| ელგუჯა ჯაფარიძე | 24.06.76 |

მწვრთნელი: ბორის დუდაური

პრეზიდენტი: შუქრი დევნოზაშვილი

წავიდნენ: ტყავაძე (პანახაიკი, საბერძნეთი)

წავიდნენ: პოზოიანი (არსენალი), კ. გოდერძიშვილი (შსს აკადემია), გ. ძნელაძე (უცნობია)



სარბიელის არქივიდან

# მეინ როუდზე ცხოვრება გრძელდება

ერთი შეხედვით რიგითი, თანაც ხუთი დღის წინანდელი ეს მატჩი იმის ღირსი ნაღდად არის, კაცმა ორიოდ ბწკარი მაინც მიუძღვნას. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ სახელწოდების მიუხედავად მესამე ლიგის თამაშს 32 134 მაყურებელი დაესწრო. ამდენ კაცს მსოფლიოს არცერთი ქვეყნის მესამე ლიგის მატჩზე ვერ შეყრი და თუ წლეულს ეს რეკორდი სადმე გაუმჯობესდა, ეს ისევ და ისევ მანჩესტერის „მეინ როუდი" იქნება.

თანაც ამ სტადიონის მფლობელ გუნდში ისევ თამაშობს ჩვენებური კახი ცხადაძე, რომელიც ახალი სეზონის პირველ მატჩში „კოშკივით აღიმართა სიტის დაცვაში" („დეილი ტელეგრაფი"), ათბალიანი სისტემით ზოგან 7, ზოგანაც 8 ქულა დაიმსახურა და რაც მთავარია, თამაშის 79-ე წუთზე ორ შოტლანდიურ გოლს ერთი ქართულიც დაუმატა. საგოლე პასი კახის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ შერაცხულმა პოლ დიკოვმა მიართვა. სწორედ დიკოვის და... ქინქლაძის გვარებს ვხვდებით ყველაზე ხშირად ამ შეხვედრისადმი მიძღვნილ საგაზეთო რეცენზიებში.

მაგალითად, „დეილი მირორი" წერს: „ბოლო სამი წლის განმავლობაში სიგიჟე იყო იმის წარმოდგენაც კი, რომ ქინქლაძე ერთხელ მაინც არ ჩამოუვლიდა თავისებურად „სიტის" მეტოქის მცველებს. პატარა ქართველი ამჯერადაც აკლდა გუნდს, მაგრამ 32 ათასი კაცი დარწმუნდა, რომ ცხოვრება ქინქის გარეშეც გრძელდება". ეს მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე პოლ დიკოვმაც დაადასტურა — ჩვენ ხალხს ვაჩვენეთ, რომ ცხოვრება გიოს წასვლით არ დამთავრებულა. ცხადია, ჩვენ იგი ძალზე დაგვაკლდა, მაგრამ ჩვენ უკვე შევეგუეთ, რომ ის ამსტერდამშია და უიმისოდ გვიწევს თამაში. ისე კი, გიო, ყველაფრის მიუხედავად, „სიტის" გმირია. მან ამასწინათ დაგვირეკა და გვითხრა, რომ ახლაც გული შესტკივა ჩვენზე და წარმატებასაც გვისურვებს.

მოკლედ, „სიტიმ" კარგად დაიწყო და მისი გმირი ისევ 10-ნომრიანი მაისურის მფლობელია, ოღონდ ამჯერად შოტლანდიელი. სქოთია პირველი გოლის ავტორი მეისონიც, ვინც სწორედ გიოს პოზიციაზე თამაშობდა და როგორც „მეილ ოფ სანდი" წერს, „თავისი ათლეტიზმით ცდილობს იმ ფანტასტიკური სანახაობის კომპენსაციას, რომელიც ქინქლაძემ ამსტერდამში წაიღო". და კიდევ, ეს მეისონი, რომელიც ჯო როილს „მანჩესტერ სიტის" მეოთხე (!) სარეზერვო გუნდში აღმოუჩენია, „სანმა" ასე მოიხსენია — ანგარიში გახსნა ბიჭმა, რომელიც წლის დასაწყისში ქინქლაძის ბუცების გაწმენდასაც არ ითაკილებდაო.

**ზურაბ მეძველია ლონდონიდან**

# პიტერ დიდი და ორმოცდაცხრა პარისკაცი

1999 წელი რომ დადგება, იანვარში, დანიის ნაკრებისა და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარეს პიტერ შმაიხელს „საუკუნის გოლკიპერის" ჯილდოს გადასცემენ.

ეს ჯილდო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ დააწესა და გამოკითხვასაც მანვე უხელმძღვანელა. რეფერენდუმის შედეგი ასეთია: შმაიხელი ერთადერთია თანამედროვეთა შორის, ვინც საუკეთესო შვიდეულში მოხვდა. თან მოხვედრასაც ხომ გააჩნია!

შმაიხელს მოსდევენ ინგლისელი გორდონ ბენქსი, რუსი ლევ იაშინი, გერმანელი ზეპ მაიერი, ჩეხი ფრანტიშეკ პლანიჩკა, ესპანელი რიკარდო სამორა და იტალიელი დინო ძოფი.

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ფეხბურთის ისტორიკოსები და სპეციალისტები, რომელთაც საუკუნის 50 საუკეთესო მეკარე დაასახელეს. გამარჯვებულს, როგორც გითხარით, იანვარში საგანგებო გალა შოუზე დააჯილდოვებენ.

ზემომოყვანილ შვიდეულს გარდა 50-საუკეთესოში შევიდნენ ინგლისელი პიტერ შილტონი (მერვე), ჩრდილოირლანდიელი პატ ჯენინგსი (მეთერთმეტე), გერმანელი ჰარალდ შუმახერი (მეთხუთმეტე), ჰოლანდიელი ედვინ ვან დერ სარი (ოცდამეოთხე). სხვათა შორის, ვან დერ სარიამ გოლკიპერებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა — 27 წლის.

დღევანდელი ინგლისის ნაკრების მეკარე დევიდ სიმენი 32-ე ადგილზე გავიდა, რადგან ერთი ქულით ჩამორჩა იტალიელ ანჯელო პერუცისა და უელსელ ნევილ საუთჰოლს.

საფრანგეთის ნაკრების აწ უკვე მეორე მეკარე ბერნარ ლამა 46-ე აღმოჩნდა.

# იქნება კი სხვა შანსი?

**რამდენიმე** დღის წინ იტალიის ქალაქ პალერმოში საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართა — „პარმამ" თასების მფლობელთა თასის გამარჯვებულ ლონდონის „ჩელსის" უმასპინძლა. გუშინდელ „სარბიელში" ვიუწყებოდით, რომ ის შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა. დღეს ინგლისური კლუბის იტალიელი ლეგიონერის — ჯანფრანკო ძოლას ინტერვიუს საინტერესო ნაწყვეტებს გაგაცნობთ. ეს ინტერვიუ ძოლას პოპულარული სპორტული გაზეთის „გაძეტა დელო სპორტის" ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჩამოართვა.



სარბიელის არქივიდან

ჯანფრანკო ძოლას მსოფლიოს ჩემპიონატზე არასდროს გაუბრწყინია

პირველ ყოვლისა, ტანმორჩილმა სარდინიელმა იტალიის ნაკრებსა და მის წარუმატებელ გამოსვლაზე, „სკუადრა აძურას" მიღმა დარჩენით გამოწვეულ ტკივილზე ისაუბრა: „დღემდე ძლიერ განვიცდი ჩემს საფრანგეთში არყოფნას და ბიჭების უნაპერწკლო თამაშს. ძალიან ძნელია იმასთან შეგუება, რომ რაღაცის კეთების საშუალებას არ გაძლევენ, მით უმეტეს, როცა ეს შეგიძლია. ჩეზარე მალდინის თასების თასის ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდი. მან მითხრა, რომ ჩემს შესახებ ჯერ არაფერი გადაეწყვიტა. ამის შემდეგ მალდინისგან აღარაფერი მსმენია. არადა, საფრანგეთი 98-ზე გამგზავრება ჩემთვის, შესაძლოა, თავის გამოჩენის ბოლო შანსიც იყო. გეხსომებათ, 1994 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში არ გამიმართლა და ნიგერიის ნაკრებთან შეხვედრაში მოედნიდან სრულიად უსაფუძვლოდ გამაძევეს. მას მერე ჩემი ერთადერთი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იყო. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ამ ოცნებას ასრულება არ ეწერა. ფეხბურთში, ზუსტად ისევე, როგორც ცხოვრებაში, კარგს ცუდი ცვლის და ამას უნდა შეეგუო, სხვა გზა არა გაქვს. ასეთ დროს, ანუ მაშინ, როცა მავანნი ზურგს გაქცევენ, ყველაფრის ხმამაღლა თქმის სურვილი გიჩნდება, მაგრამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ სხვაგვარ გადაწყვეტილებას იღებ და ჩუმდები. გულნატკენი და დამწუხრებული მარტო მე როდი ვარ. ვიცი, რომ ნაკრების მიღმა დარჩენას დიეგო ფუზერი, კრისტიან პანუჩი და პიერლუიჯი კაზირაგიც მძიმედ განიცდიან — ისინი აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მათ ეს დაიმსახურეს".

ასეთი სევდიანი გამოდგა ძოლას მონოლოგი და არც გაემტყუნება, იგი ხომ მართლაც მაღალი კლასის ფეხბურთელია.

შემდეგ მას მომავალ კარიერაზე ჰკითხეს: „მე — ეროვნულ ნაკრებში? ამაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ძოფის პოზიცია ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია. ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. რაც შეეხება „ჩელსის", მასთან 2002 წლამდე მაქვს კონტრაქტი და ყველანაირად ვეცდები, ამ ოთხი წლის განმავლობაში უმაღლეს დონეზე ვიასპარეზო".

ბოლოს ძოლამ თავის მეგობარზე, ლონდონური კლუბის ახალწვეულსა და იტალიის ნაკრების თავდამსხმელ პიერლუიჯი კაზირაგიზე ისაუბრა, რომელიც „ჩელსიში" რომის „ლაციოდან" ზაფხულში გადავიდა: „პიერლუიჯი უნიჭიერესი კაცია და არა მგონია, მას ინგლისში ადაპტაციის პრობლემა შეექმნას. საერთოდ, მისი „ჩელსიში" გადმოსვლა ძალიან გამიხარდა, ჩვენ მოედანზეც და მის გარეთაც იდეალურად ვუგებთ ერთმანეთს".

**ნოდარ ქასრაძე**

# მერე კი რა მოგახსენოთ

ლონდონის „არსენალის" ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი თავის კლუბს საჯაროდ ამშვიდებს და აცხადებს, რომ ორ-სამ წელიწადში ევროპული სუპერლიგა ჩამოყალიბდება თუ არა, „არსენალი" მასში ამოჰყოფს თას.

ასეთი განცხადება ფრანგს იმიტომ დასჭირდა, რომ რამდენიმე დღის წინ ქვეყანას მოედო, ვენგერს იაპონელები ეახლენ და თავიანთი ნაკრების მწვრთნელად მიჰყავთო.

— უახლოეს ორ-სამ სეზონს ლონდონში გავატარებ, მერე კი აბა რა გითხრათ — ბრძანა კაცმა, რომელმაც გასულ სეზონში „არსენალს" ინგლისის ჩემპიონის ტიტულიც მოაპოვებინა და ფეხბურთის ასოციაციის თასიც — იაპონელებს მართლაც ვესაუბრე. იქ რომ ვმუშაობდი, ბევრი ადამიანი გავიცანი და პატივს ვცემ, მაგრამ ჯერჯერობით „არსენალიდან" წასვლას არსად ვაპირებ. მთელი ყურადღება მოახლოებული სეზონისკენ მაქვს მიპყრობილი.

რაც შეეხება სუპერლიგას, ვენგერი თვლის, რომ მის დაარსებას ორიოდ წელიწადიღა სჭირდება.

— ფაქტობრივად სუპერლიგა უკვე არსებობს, რადგან იქმნება ექვსგუნდიანი ოთხი ჯგუფი და გამოდის, რომ შეჯიბრების მოსაგებად მონაწილეებს 15 შეხვედრის გამართვა მოუწევთ. სუპერლიგის იდეას ვერაფერი დაამარცხებს. ვისაც სურს უმაღლესი დონის კლუბი ჰყავდეს, დროებას აუცილებლად მხარი უნდა აუბას — ფიქრობს ფრანგი მწვრთნელი.

# ახალი ცხოვრება

საფრანგეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა დაასახელა თავის პირველ რჩეულთა ვინაობა. ამ 18 ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონების ახალი მეთაური ავსტრიაში იახლებს, სადაც 19 აგვისტოს ვენის „ერნსტ ჰაპელის" სტადიონზე იქაურთა ეროვნული გუნდს ამხანაგურ მატჩში მოუსინჯავს ძალა.

ლემერის რჩეულნი არიან: მეკარეები — ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ლიონელ ლეტიზი (მეცი); მცველები — ვინსენტ კანდელა (რომა, იტალია), ალან გომა (პარი სენ ჟერმენი), კრისტიან კარემბუ (რეალი, ესპანეთი), ფრანკ ლებეფი (ჩელსი, ინგლისი), ბიქსენტე ლისარასუ (ბაიერნი, გერმანია), ლილიან ტურამი (პარმა, იტალია); ნახევარმცველები: ალან ბოგოსიანი (პარმა, იტალია), ფრედერიკ დეუ (ლანსი), დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია), იური ჯორკაეფი (ინტერი, იტალია); თავდამსხმელები: ტიერი ანრი (მონაკო), ლილიან ლასლანდი (ბორდო), ფლორიან მორისი (მარსელი), რობერტ პირესი (მარსელი), ტონი ვაირლე (ლანსი).

გარდა ფეხბურთელებისა ლემერმა თავისი ასისტენტიც დაასახელა — რენე ჟირარდი, „ბორდოს" ყოფილი ნახევარმცველი, რომელსაც ნაკრებში შვიდი მატჩი აქვს ჩატარებული. იგი გახლდათ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე, ქვეყნის სამგზის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი.

# მინისტრს მანქანა ჩაულეწეს

**პოლონური** კლუბები ახალ კვირაშიც ძველებურად ფიქრობენ — თუ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მარიან ძიუროვიჩი თანამდებობიდან არ გადადგება, ისინი ეროვნული პირველობის ბოიკოტს გააგრძელებენ. კლუბები საქმეში მთავრობის ჩარევას ითხოვენ.

„სანამ ძიუროვიჩი არ გადადგება, მოედანზე არ გავალთ. იმედი მაქვს, როდესაც ის დაინახავს რომ გუნდები მხარს არ უჭერენ, თავად დაწერს განცხადებას" — განაცხადა კრაკოვის „ვისლას" ვიცე-პრეზიდენტმა, ზბიგნევ კოზმინსკიმ.

ანტონი პტაკმა, ლოძის ლკს-ს პრეზიდენტმა, რომლის გუნდიც დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევ ეტაპზე „მანჩესტერ იუნაიტედს" ეთამაშება, პრესას განუცხადა, რომ იგი პოლონურ კლუბებს ალტერნატიული ლიგის დაფუძნებას სთავაზობს.

„ჩვენ ვესაუბრეთ რვა გუნდის პრეზიდენტს და ვნახეთ, რომ ისინი მხარს გვიჭერენ" — უთხრა პტაკმა „გაზეტა ვიბორჩას" კორესპონდენტს და დასძინა, რომ ახალი ლიგა ამ კვირაშივე შეიძლება დაარსდეს.

გაფიცვამ პოლონეთში მხოლოდ პირველი დივიზიონი მოიცვა. ევროშეჯიბრებათა მონაწილენი უეფას, თასების და ჩემპიონთა თასებზე ჩვეულებრივ მიიღებენ მონაწილეობას.

გაზეთებში კი გამოქვეყნდა გასულ შაბათს გადაღებული ფოტოები, რომლებზეც მოედნის ცენტრში ეულად მდგომი მსაჯები არიან გამოსახულნი, გუნდების მოლოდინში თავს ბურთის კენწვლით რომ იქცევენ თავს. მსაჯებს უკან ცარიელი ტრიბუნებია.

„რას თამაშობს პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია?" — კითხულობს ვარშავის გაზეთი „ჟიჩიე" პირველ გვერდზე.

სხვა გაზეთებიც ეხმაურებიან მთელი ქვეყნისთვის მტკივნეულ თემას და ძიუვიჩის გადადგომას სწორ მოთხოვნად მიიჩნევენ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, პოლონელ ფეხბურთელთა სატრანსფერო თანხებით მანიპულაციაში ედება ბრალი. კლუბებს მიაჩნიათ, რომ ფედერაცია ამ ფულის დიდ ნაწილს უსამართლოდ ითვისებს.

აქვე შეგახსენებთ ისტორიას, რომელიც აპრილიდან მოყოლებული, ვითარდებოდა და გასულ პარასკევს, 7 აგვისტოს დასრულდა: პოლონეთის სპორტის მინისტრმა, იაცეკ დებსკიმ ფედერაციის ფინანსურ საქმეთა შესამოწმებლად ექსპერტთა ჯგუფი მიავლინა, მაგრამ ექსპერტები დოკუმენტებამდე არ მიუშვეს. შეურაცხყოფილმა მინისტრმა დაწერა ბრძანება და ფედერაციის თანამშრომლები სამსახურიდან გაათავისუფლა, მაგრამ მათ მხარი ფიფამ და უეფამ დაუჭირეს, რის შედეგადაც პოლონური ფეხბურთის საერთაშორისო სარბიელიდან მოკვეთით დაშინებულმა მინისტრმა პარასკევს, ახალი ბრძანებით, ყველა განთავისუფლებული თანამდებობაზე აღადგინა.

საგულისხმოა, რომ 7 აგვისტოს ღამის 12 საათი ფიფასა და უეფას მიერ პოლონელთათვის ბოლო ვადად იყო მიცემული და დებსკიმ ის, აღდგენის ბრძანება თორმეტ საათამდე თორმეტი წუთით ადრე დაწერა.

მაგრამ ბრძოლა ამით რომ არ დასრულდება, ფაქტია. მინისტრი ისე ვერ მოისვენებს, თავის ექსპერტებს ფედერაციის ქაღალდები რომ არ შეამოწმებინოს.

ბრძოლა რომ არ დამთავრებულა, იქიდანაც ჩანს, რომ კვირას საღამოს დებსკის მანქანა უცნობებმა ჩალეწეს და მოიპარეს ფედერაციის ახლებური სტრუქტურის პროექტი.

შაბათს, „ლეგიასა" და „ლეხის" 60-წუთიან ამხანაგურ შეხვედრას მრავლად ესწრებოდა გულშემატკივარი. როდესაც ტრიბუნაზე მინისტრი დებსკი გამოჩნდა, ხალხმა ოვაცია მოაწყო.



REUTERS ნიუკასლიდან

ნიუკასლის „სენ ჯეიმსის პარკზე" [illegible] „ნიუკასლი" იტალიურ „იუვენტუსს" ამხანაგურ მატჩში [illegible] იტალიელი [illegible] ინგლისელი [illegible] მატჩი საკმაოდ უინტერესოდ წარიმართა და „ნიუკასლის" გამარჯვებით 2:1 დასრულდა. შეხვედრაში მონაწილეობა ქეცბაიამაც მიიღო, თუმცა შეცვლაზე შესულმა ამჯერად გოლი ვერ გაიტანა.



რობერტო ბაჯო

# რობერტო ბაჯო: მათამაშეთ ნაკრებში!

იტალიის ნაკრების ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო და გამოცდილმა ფეხბურთელმა რობერტო ბაჯომ, რომელიც „სკუადრა ადურას" ყოფილ თავკაცს ჩეზარე მალდინის რატომღაც ამოჩემებული ჰყავდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ რამდენიმე წუთით თამაშის საშუალებას თუ აძლევდა, ნაკრების ახალდანიშნულ მთავარ მწვრთნელს დინო ძოფს წერილი გაუგზავნა, რომელშიც მხოლოდ ერთი წინადადება ეწერა: „ამიყვანეთ ნაკრებში!". როგორც გახსოვთ, უფროსი მალდინი ჩინებულ ფორმაში მყოფი ბაჯოს საფრანგეთი 98-ზე წაყვანას საერთოდ არ აპირებდა, რის გამოც გულშემატკივართა და პრესის მხრიდან კრიტიკის ახალი ტალღა დაატყდა თავს. შედეგად ჩეზარე დათმობაზე წავიდა, თუმცა ასეთ წაყვანას სჯობდა, რობი საერთოდ არ შეეყვანა სამსოფლიოსჩემპიონატო 22 კაციან განაცხადში, რადგან საფრანგეთის სტადიონებზე უმეტესწილად ბაჯოს ახალგაზრდა კონკურენტი — ალესანდრო დელ პიერო ბურთაობდა, თანაც მეტად უხეიროდ. მიუხედავად ამისა, მალდინი მაინც ჯიუტობდა და შეიძლება ითქვას, საკუთარი პრინციპების გამო გუნდი კიდეც დალუპა. ჰოდა, ეტყობა, რობერტოსაც მობეზრდა მისთვის შეუფერებელ ადგილზე, სათადარიგოთა სკამზე ყოფნა და ძოფს პირდაპირ ახალა, თამაშის საუშალება მომეციო. სექტემბრის დასაწყისში იტალიელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩს გამართავენ უელსში, იქაურ ნაკრებთან და ბაჯოც, ბუნებრივია, მოწადინებულია, სრულყოფილად გამოავლინოს თავისი ნიჭი: „არა მგონია, ეროვნულ ნაკრებში თამაშის სურვილით რაიმეს ვაშავებდე, ეს ხომ ყოველი ფეხბურთელის, ახალგაზრდა იქნება თუ ხნიერი, თვითმიზანია. ვერ გამიგია, რატომ არ მათამაშებენ, მე ხომ ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს" — განაცხადა აღშფოთებულმა ბაჯომ, რომელიც უკვე 31 წლისაა.

თავად ძოფის აზრი ამ საკითხზე ჯერჯერობით უცნობია, იგი არანაირ კომენტარს არ აკეთებს. ერთადერთი, რაც წარსულში ცნობილმა მეკარემ თქვა ბაჯოსა და დელ პიეროს ერთად თამაშის თაობაზე, ეს იყო — ყველაფერი მათ ფიზიკურ მზადყოფნასა და სათამაშო ფორმაზეა დამოკიდებულიო. აგრეთვე ცნობილი გახდა, რომ „სკუადრა ადურა" მომავალი სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს შინ, შვეიცარიის ნაკრებთან 10 ოქტომბერს მილანის ნაცვლად უდინეში გამართავს, ქალაქში, სადაც ძოფმა ფეხბურთის თამაში დაიწყო და 1961 წელს იქაურ „უდინეზეშიც" ჩაირიცხა. სხვათა შორის, ეს ცვლილება თავად მწვრთნელის თხოვნის საფუძველზე მოხდა, რომლითაც მან იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მიმართა. ასეთივე პრივილეგიით ჯერ კიდევ შარშან ჩეზარე მალდინიმ ისარგებლა, როცა ნაკრების თავკაცის რანგში თავისი პირველი მატჩი ჩრდილოირლანდიელებთან ქალაქ ტრიესტში გადაატანინა. უფროსი მალდინისთვის ეს ცვლილება იღბლიანი აღმოჩნდა, მაშინ აპენინელებმა 2:0 მოიგეს. მისგან განსხვავებით, ძოფის დებიუტი სტუმრად, უელსში შედგება და, ალბათ, იტალიის ნაკრების გამარჯვებითაც აღინიშნება, მით უმეტეს, თუ იმ შეხვედრაში რობი ითამაშებს.

**დავით ძოვზირიძე**

# აი, დიდებიც გამოჩნდნენ

## ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

მდიდრული სუპერლიგა იქნებ მართლაც ახალი ათასწლეულის ჰორიზონტზე. მაგრამ მანამდე, დღეს, კონტინენტის პრესტიჟულ გუნდთა ერთი ჯგუფი თავისი ფინანსური მომავლის გასარკვევად ტესტს ჩააბარებს.

ევროპის ჩემპიონთა თასის მეორე შესარჩევი ეტაპი ჩემპიონთა ლიგის ადგილებს ანაწილებს. „მანჩესტერ იუნაიტედი", მილანის „ინტერი", „ეინდჰოვენი", „ბაიერნი" და სხვა დიდი გუნდები, რომლებმაც თავიანთ ჩემპიონატებში პირდაპირ ლიგაში გამსვლელი ადგილების მოპოვება ანუ ჩემპიონობა ვერ მოახერხეს, დღეიდანვე საქმეში არიან ჩაბმულნი.

არსებობს „დამამშვიდებელი ჯილდოც": ისინი, ვინც ამ ეტაპს ვერ დაძლევენ, სექტემბრიდან უეფას თასზე გადაერთვებიან, თუმცა ბუნებრივია, ყველას სწორედ ლიგაში შესვლა სურს, რათა ხელი სპონსორთა და სატელევიზიო კომპანიათა მილიონებზე მიუწვდებოდეთ.

დიდ გუნდთაგან ბევრმა ხეირიანი მომზადება ვერ მოასწრო. არადა, მათ დღევანდელ უსახელო მეტოქეებს დასაკარგი არაფერი აქვთ.

„ყოველ მიზეზს გარეშე, უნდა შევიდეთ ლიგაში" — განაცხადა „ბაიერნის" ახალმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა, რომლის გუნდიც ამ საღამოს იუგოსლავიის დედაქალაქის, ბელგრადის „ობილიჩს" მასპინძლობს — „ობილიჩთან" სერიოზული გამოცდა გვექნება ჩასაბარებელი. განსაკუთრებულ სიძნელეს კი ის გვიქმნის, რომ მოწინააღმდეგეზე ბევრი არაფერი ვიცით".

მოგეხსენებათ, „ბაიერნმა" უშუალოდ ლიგაში იმიტომ ვერ შეაღწია, რომ ბუნდესლიგის ტიტული „კაიზერსლაუტერნს" გაატანა, თუმცა სადღეისოდ აშკარად კარგ ფორმაშია, რაც ქვეყნის ლიგის თასის ფინალურ შეხვედრაშიც გამოჩნდა, სადაც „შტუტგარტს" 4:0 მოუგო.

ელოდნენ, რომ ჰიცფელდი, რომელსაც ჩემპიონთა თასი დორტმუნდის „ბორუსიას" მწვრთნელობის დროს აღუმართავს, „ობილიჩთან" შეხვედრაში მოედანზე იმავე შემადგენლობას გაიყვანდა, გასულ შაბათს „შტუტგარტთან" რომ ათამაშა, მაგრამ ბოლოწამს ცენტრალურ მცველს თომას ჰელმერს გრიპი შეეყარა, ნახევარმცველს მეჰმეთ შოლს ზურგი ასტკივდა, განელ მცველს სამუელ კუფურს კი ციებ-ცხელება სჭირს.

„ბაიერნის" გამთამაშებლის ფუნქციას, ალბათ, შტეფან ეფენბერგს დააკისრებენ. ეფენბერგი გარდა ოსტატობისა, იმითაცაა ცნობილი, რომ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანელ გულშემატკივრებს უზრდელური ჟესტი აჩვენა, რის გამოც ნაკრების მწვრთნელმა, ბერტი ფოგთსმა შუა პირველობიდან დაითხოვა. „ბაიერნში" ეფენბერგი ამ ზაფხულზე გადავიდა.

საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს იუგოსლავიის ჩემპიონსაც, თუმცა გუნდში ერთი საგანგებო შემთხვევა მოხდა: გასულ უქმეებზე „ობილიჩს" პირველი დივიზიონის კალენდარულ შეხვედრაში სუსტზე სუსტ „მილიციონართან" ჰქონდა სათამაშო. მწვრთნელმა დრაგან ოკუკამ თამაშზე უარი განაცხადა და ამ თავნებობისთვის იგი სამსახურიდან გაუშვეს. მატჩი მაინც გაიმართა, 0:0 დასრულდა და „ობილიჩის" სამი ფეხბურთელის ძვლებიც იმსხვერპლა.

რთული ამოცანა უდგას „მანჩესტერ იუნაიტედსაც", რომელმაც გასულ სეზონში ინგლისის პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლა ლონდონის „არსენალთან" წააგო. მისი მეტოქეა პოლონური ლკს, ქალაქ ლოძიდან. „იუნაიტედი", მიუნხენელებისგან განსხვავებით, საშინაო სუპერთასის შეხვედრაში დამარცხდა. მას „არსენალმა" 3:0 მოუგო.

„არა მგონია, ლონდონელებთან ასეთმა დამარცხებამ ჩვენი გუნდის მორალზე იმოქმედოს. ცხადია, დიდი ანგარიშით წაგება ხელს არაფერს შეუწყობდა, მაგრამ საკუთარი თავის რწმენას მაინც ვერ მოგვიშლის. ერთი რამ ფაქტია, ჩვენ 100 პროცენტით მზად არ ვართ, თუმცა ვგონებ, არც ლკს უნდა იყოს საუკეთესო ფორმაში" — ბრძანა მანჩესტერის ცნობილი გუნდის შოტლანდიელმა ხელმძღვანელმა, ალექს ფერგიუსონმა.

ლკს-მ, ისევე როგორც კიდევ რვა პოლონურმა გუნდმა, გასულ შაბათს ქვეყნის პირველობას ბოიკოტი გამოუცხადა. მოგეხსენებათ, ეს კლუბები პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, მარიან ძიუროვიჩის თანამდებობიდან გადადგომას ითხოვენ.

ლოძელებს დაშავებული ჰყავთ ნაკრების ყოფილი მოთამაშე, მცველი ტომაშ ლენარტი და ნიგერიელი ნახევარმცველი, ომოდიაკბე დარლინგტონი.

„ინტერი" რიგის „სკონტოსთან" რონალდოს ჩაურევლად გაარჩევენ საქმეს. ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შვებულებაშია და ვინაიდან იტალიაში სერია A-ს პირველობა 13 სექტემბრამდე არ იწყება, სამსახურშიც აგვისტოს ბოლომდე არ მივა.

„ინტერს" არც არგენტინელი ხავიერ ძანეტი ეყოლება ლატვიელებთან შეხვედრაში. ძანეტის გასული სეზონის დისკვალიფიკაცია მოჰყვება.

მსოფლიოს ჩემპიონს, ფრანგ იური ჯორკაეფს „სკონტოს" ქართველი მწვრთნელი-კონსულტანტის, რევაზ ძოძუაშვილის შეგირდებთან თამაშში ფორმალურად ხელს არაფერი უშლის, მაგრამ მასაც შვებულება ჰქონდა და არ უვარჯიშია.

სამაგიეროდ, „ინტერის" თავდასხმაში, სეზონისწინა, ამხანაგურ შეხვედრებში თავი გამოიჩინეს ახალწვეულებმა ანდრეა პირლომ, ნიკოლა ვენტოლამ და ცნობილმა რობერტო ბაჯომ.

ბაჯოს ალბათ სწორედ დღეს ექნება შავ-ლურჯ გუნდში ოფიციალური დებიუტი. სხვათა შორის, ეს შეხვედრა გაიმართება არა მილანის „სან სიროზე", არამედ პიზას „სტადიო გარიბალდიზე". საქმე ისაა, რომ „ინტერის" თავკაცებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ვარსკვლავებით მოჭედილი გუნდი ცენტრალურ იტალიასაც აჩვენონ.

სხვა მთავარი თამაშების საქმე ასეა: „ეინდჰოვენი" სლოვენიაში „მარიბორს" სტუმრობს, „ბენფიკა" იერუსალიმის „ბეითარს" მასპინძლობს, მასპინძელია „სელტიკიც", რომლის მეტოქე არც მეტი, არც ნაკლები, ზაგრების „კროაციაა", „გალათასარაის" სტუმარი „გრასჰოპერი" გახლავთ, „მეცი" კი „ჰელსინკის" ეწვევა.

**ადრიან უორნერი.**
როიტერი

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისურმა „ქოვენთრი სიტიმ" საბოლოოდ დაასრულა მოლაპარაკება მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ხორვატიის ნაკრების მცველ რობერტ იარნისთან და მასთან ხელშეკრულება გააფორმა. ფეხბურთელის სანაცვლოდ მისი ყოფილი კლუბი, ესპანური „ბეტისი" 2,6 მილიონ გირვანქას (4,24 მილიონი დოლარი) მიიღებს. „ბეტისში" გადასვლამდე იარნი იტალიურ კლუბებში — „ბარიში", „ტორინოსა" და „იუვენტუსში" ასპარეზობდა. ინგლისური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა აღნიშნა: „რობერტი მაღალი დონის მოთამაშე და ნამდვილი პროფესიონალია. მჯერა, მისი გამოცდილება და ენერგია „ქოვენთრის" კარს მომდგარ სეზონში ძლიერ გამოადგება".**

**განელი** თავდამსხმელი ტონი იებოა თავისი გუნდის — „ჰამბურგის" პირველ ბუნდესლიგურ მატჩს ლიგის ახალ ბინადარ „ნიურნბერგთან" გამოტოვებს. ამის მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც იებოამ ჰოლანდიურ „ტვენტესთან" სეზონისწინა მოსამზადებელ ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო. გერმანული კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, „ჰამბურგი" კიდევ ერთ წამყვან ფეხბურთელს, ნახევარმცველ ტომას დოლს მოისაკლისებს. მანაც, იებოას მსგავსად, მუხლი დაიშავა, ოღონდ დოლის საქმე უფრო სერიოზულადაა — იგი ნახევარი წლის განმავლობაში ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

**დანიის ნაკრები 19 აგვისტოს პრაღაში ჩეხებთან ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ეს შეხვედრა გუნდისთვის უკანასკნელი მოსამზადებელი ეტაპი იქნება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ თამაშამდე, რომელსაც სკანდინაველები 5 სექტემბერს მინსკში გამართავენ ბელარუსის ნაკრებთან. 1992 წლის ევროპის ჩემპიონებს ამ მატჩში გამოცდილი მეკარე პეტერ შმაიხელი უკაპიტნებს. გაგაცნობთ დანიის ნაკრების შემადგენლობას: მეკარეები — პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი), მოგენს კროგი (ბრონდბიუ); მცველები — სორენ კოლდინგი (ბრონდბიუ), იან ჰაინცე (ლევერკუზენის „ბაიერი"), რენე ენრიკსენი (კოპენჰაგენი), იეს ჰოგი (ფენერბაჰჩე), იაკობ ლაურსენი (დერბი ქაუნთი), მარკ რიპერი (სელტიკი), ოლე ტობიასენი (აიაქსი); ნახევარმცველები — ტომას გრავესენი (ჰამბურგი), პერ ფრანდსენი (ბოლტონი), ტომას ჰელვეგი (მილანი), ალან ნილსენი (ტოტენჰემი), იონ დალ ტომასონი (ფეინოორდი), სტიგ ტოფტინგი (დუისბურგი); თავდამსხმელები — სორენ ანდერსენი (ბრისტოლ სიტი), პეტერ მიოლერი (ეინდჰოვენი), ებე სანდი (ბრონდბიუ).**

**ხორვატული** პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეროვნული ნაკრების თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩი, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე სენსაცია მოახდინა და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა, კიდევ ოთხი წლით დარჩება თავის ამჟამინდელ თანამდებობაზე. „ჩვენ ყველაფერზე პირობითად შევთანხმდით, თუმცა ხელი არაფერზე მოგვიწერია" — განაცხადა ბლაჟევიჩმა ხორვატიის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ და დაამატა: „მიუხედავად ამისა, მათ გარანტია მომცეს, რომ ნაკრებთან ერთად კიდევ ოთხი წელი ვიმუშავებ და ამ ხნის განმავლობაში ყველანაირად შემიწყობენ ხელს". არადა, წარმატებით დასრულებული საფრანგეთი 98-ის შემდეგ დაირხა ხმები, თითქოს 63 წლის სპეციალისტს ერთ-ერთი იაპონური კლუბი უნდა გაეწვრთნა.

**გერმანული ფეხბურთის მამებს შიში, რომ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქვეყნის პირველი ნაკრების წარუმატებელი ასპარეზობა ბუნდესლიგური მატჩების ბილეთების რეალიზაციაზე უარყოფითად იმოქმედებდა, მათდა საბედნიეროდ, გაქარწყლდა — გერმანიაში უკვე 284 ათასი აბონემენტი გაიყიდა, 31 ათასით მეტი, ვიდრე გასულ სეზონში, რაც გერმანისთვის სარეკორდო მაჩვენებელია. ყველაზე მეტი აბონემენტი ვიცეჩემპიონისა და ლიგის თასის მფლობელის, მიუნხენის „ბაიერნის" ქომაგებმა შეიძინეს — 54529, მეორე ადგილზე მისი კონკურენტი დორტმუნდის „ბორუსიაა" — 52893.**

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „მონაკოს" ახალგაზრდა თავდამსხმელმა ტიერი ანრიმ ამ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, კარიერა ლონდონის „არსენალში" გააგრძელოს. თუმცა ფრანგული კლუბის წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ფეხბურთელის გაშვებას არსად არ აპირებენ: „ტიერიმ სახელი „მონაკოში" გაითქვა. ჩვენ მისი დიდი იმედი გვაქვს, ამიტომაც ვერ შეველევით, ანრი კლუბში დარჩება" — აღნიშნა „მონაკოს" პრეზიდენტმა ჟან-ლუი კამპორამ ფრანგულ გაზეთ „ეკიპთან" საუბრისას — „უახლოეს ათ დღეში მე მას უშუალოდ, ყოველგვარი აგენტების გარეშე შევხვდები და საგულდაგულოდ მოველაპარაკები". საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საფრანგეთის ნაკრების საუკეთესო გოლეადორს (3 ბურთით) ევროპის რამდენიმე წამყვანი კლუბი შეეხმიანა, მათ შორის, „არსენალი". როგორც კამპორა აცხადებს, ანრიმ საკუთარი აგენტების დიდი ზეწოლა განიცადა, რათა ინგლისში გადაბარგებულიყო. თუმცა „მონაკოს" პრეზიდენტი ამის შემდეგ „არსენალის" ხელმძღვანელობას შეხვედრია და უთქვამს, რომ ანრი არ იყიდება. მას მერე ლონდონურ კლუბს ფეხბურთელის გადაბირება არ უცდია.

**ურუგვაელი ნახევარმცველი პაბლო გარსია, რომელიც აქამდე მადრიდის „ატლეტიკოს" ღირსებას იცავდა, მშობლიურ „პენიაროლში" გადაბარგდა. ფეხბურთელი, რომელიც შარშან საუდის არაბეთში გამართულ კონფედერაციის თასზე ურუგვაის ნაკრების სახელით ასპარეზობდა, მადრიდული კლუბის ახალ თავკაცს, ცნობილ იტალიელ სპეციალისტს არიგო საკის დაუწუნებია.**

**საფრანგეთის** ნაკრებისა და მარსელის „ოლიმპიკის" კაპიტანი ლორან ბლანი ეროვნულ გუნდში დაბრუნებაზე ფიქრობს. 32 წლის მცველს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, აზრი შეუცვლია. ბლანმა ქვეყნის ღირსება უკანასკნელად მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ხორვატიის წინააღმდეგ დაიცვა. იმ მატჩში ფრანგთა კაპიტანი სლავენ ბილიჩთან წაკინკლავების გამო გააძევეს და ბრაზილიასთან ფინალური შეხვედრის გამოტოვება მოუხდა. გარდა ამისა, იგი ვერც ისლანდიასთან ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში გამოვა მოედანზე, ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონთა ახალმა თავკაცმა როჟე ლემერმა ფეხბურთელი 19 აგვისტოს ავსტრიასთან ამხანაგური მატჩისთვის არ მიიწვია. „საკმარისი დრო მაქვს იმაზე საფიქრალად, ღირს თუ არა ნაკრებში დაბრუნება" — განაცხადა ბლანმა.

**იამაიკის ნაკრების ბრაზილიელმა თავკაცმა, რენე სიმოესმა განაცხადა, რომ თანამდებობაზე დარჩენის დიდი სურვილი აქვს. იამაიკის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ პი ჯეი პატერსონს შეხვდა და ამის თაობაზე გაესაუბრა: „ჩვენ კარგა ხანს ვილაპარაკეთ და იგი ყოველგვარ დახმარებას დამპირდა. ჩემი აზრით, ყველაფერი რიგზე იქნება". სიმოესი იამაიკაში 1994 წელს ჩავიდა და იქაური ფეხბურთის განვითარების პროგრამას ჩაუდგა სათავეში, რომლის მთავარი მიზანიც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა იყო. მას შემდეგ, რაც ნაკრებმა წარმატებით გაიარა შესარჩევი ტურნირი და საფრანგეთი 98-ზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა, იგი ნაციონალურ გმირად გამოაცხადეს. თუმცა წლეულს, მაისში, ბრაზილიელ სპეციალისტსა და ადგილობრივ პრესას შორის ურთიერთობა მეტად დაიძაბა — მედიის წარმომადგენლებმა მის ჯიბეში ფათური დაიწყეს და შარი მოსდეს, ძალიან დიდ გასამრჯელოს იღებო. ამის გამო მწვრთნელმა პოსტის დატოვება გადაწყვიტა, მაგრამ საქმეში მთავრობა ჩაერია და ყველაფერი მოწესრიგდა. დაამტკიცებენ თუ არა სიმოესს იამაიკის ნაკრების თავკაცად, უახლოეს მომავალში გაირკვევა.**

# კიდევ შორია NBA-მდე?

საბერძნეთში ჩატარებული მსოფლიოს მე-13 საკალათბურთო ჩემპიონატი უკვე წარსულის კუთვნილებაა. 29 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით უამრავი გულშემატკივარი მთელი დედამიწის ზურგზე დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ათენსა და პირეოსში მიმდინარე დაძაბულ ბრძოლებს. პირველობამაც ნამდვილად არ გააწბილა კალათბურთის ერთგული ქომაგების მოლოდინი. მართლაც, ამ ორი კვირის მანძილზე მრავლად ვიხილეთ ყოველივე ის, რის გამოც ასე გვიყვარს ეს თამაში. იყო უკომპრომისო პაექრობები, საუცხოო გარღვევები, სამქულიანი ტყორცნები, ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლა, თვით რამდენიმე ოვერტაიმი და მწვრთნელთა გიგანტური დაპირისპირება. რაც მთავარია, იყო ულამაზესი კალათბურთი, რომლის ნაკლებობასაც, გულახდილად რომ ვთქვათ, აგრერიგად განვიცდიდით ამ ბოლო წლებში. ქვემოთ შევეცადეთ, განვლილი ჩემპიონატი ერთგვარად შეგვეჯამებინა და თქვენთვის შეგვეხსენებინა ის ძირითადი შტრიხები, ბერძნულ ბატალიებს რომ ახლდა თან.

## თავგამოჩენილნი

ასეთ გუნდებზე საუბარს, რა თქმა უნდა, ჩემპიონით დავიწყებთ. იუგოსლავიელებს ამ პირველობაზე რამდენიმე ძირითადი მოთამაშე აკლდათ, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად მათ მოახერხეს ერთიანი, უაღრესად ბრძოლისუნარიანი ნაკრების შექმნა. ეს კი უპირველესად გამოცდილი მთავარი მწვრთნელის ჟელკო ობრადოვიჩის დამსახურება გახლდათ, რადგან ძალიან ძლიერი კალათბურთელების — დეიან ბოდიროგას, ჟელკო რებრაჩას, ალექსანდრ ჯორჯევიჩისა და სხვათა შენს გუნდში დაგულება იმას როდი ნიშნავს, რომ უეჭველად მსოფლიოს ჩემპიონი ხარ. სწორედ ობრადოვიჩი იყო, ეს ვარსკვლავები პირველხარისხოვან, უძლიერეს კოლექტივად რომ აქცია, რომლის უპირველეს ღირსებადაც დაცვაში უმკაცრესად ორგანიზებული თამაში უნდა მივიჩნიოთ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია რუსეთის ნაკრები. როგორც ჩემპიონატმა აჩვენა, სერგეი ბელოვს მართლაც საუცხოო გუნდი ჩამოუყალიბებია და ტურნირის წინ მწვრთნელის სიტყვები — საბერძნეთში ჩვენი მომგები არავინ მეგულება და თუ წავაგებთ, ისიც მხოლოდ საკუთარი შეცდომების ბრალი იქნებაო მთლად უსაფუძვლო სულაც არ ყოფილა.— თუმცა შეიძლება ერთი არგუმენტის დასახელება, რომელსაც ბელოვი ვერანაირ თავის გასამართლებელ მოსაზრებას ვერ დაუპირისპირებს. რუსებმა პირველობაზე სულ ცხრა შეხვედრა გამართეს და აქედან მხოლოდ ორში დამარცხდნენ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ორჯერვე მათი მძლეველი მსოფლიოს უკვე ოთხგზის ჩემპიონი — იუგოსლავია იყო! B ჯგუფში ოვერტაიმში 74:82 წაგებას რუსებმა ფინალში დრამატული 62:64 მარცხი დაუმატეს და მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელში მცირედ უპირატესობას ფლობდნენ და გამარჯვებაც შეეძლოთ, მთლიანობაში პირველობაზე პრეტენზია, ალბათ, ნაკლებად უნდა ჰქონდეთ.

წარმატებით მოასპარეზე გუნდებს შორის აუცილებლად უნდა ვახსენოთ იტალია, ესპანეთი და ლიტვა. ადვილად შეიძლებოდა, ნებისმიერი მათგანი ჩემპიონატის ფინალშიც გვეხილა.

## შერცხვენილი

ამ ნომინაციას ერთადერთი პრეტენდენტი ჰყავს — აშშ-ის ნაკრები! ალბათ, დაგვეთანხმებით, საბერძნეთში რუდი ტომიანოვიჩის თავკაცობით თუნდაც NBA-ს ვარსკვლავების გარეშე ჩასულ გუნდს იმდენი მაინც უნდა მოეხერხებინა, რომ ფინალში გასულიყო. მაგრამ ნაკრებს, რომელიც ნახევარფინალის დასრულებამდე 2.50 წუთით ადრე 10 ქულას იგებს და დარჩენილ დროში მოგებას მეტოქეს გადააბარებს, აბა, რა წარმატება უნდა მოსთხოვო? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოკეანისგაღმელთა ბედოვლათობაზე ერთი რამეც მეტყველებს. ამ გუნდმა ჩემპიონატზე ცხრა შეხვედრა გამართა. რუსებთან და ლიტველებთან სამარცხვინო წაგებაზე რომ არაფერი ვთქვათ, კიდევ ორ უპრინციპულეს მატჩში — ესპანელებისა და იტალიელების წინააღმდეგ ტომიანოვიჩის შეგირდები სულ მდევრების როლში იყვნენ და მხოლოდ ბოლო (!) წუთებზე ახერხებდნენ გამარჯვების დაბევებას. ამერიკელებს პირველობა თუ სურდათ, სწორედ უმთავრესი კონკურენტებისთვის უნდა მოეგოთ, თორემ ბოგანო და გაპარტახებულ კორეას დღეს ნებისმიერი პატივმოყვარე გუნდი იბრიყვებს.

## გაწბილებულნი

ჩემპიონატზე ისეთი გუნდებიც იყვნენ, რომლებმაც აშკარად ვერ გაამართლეს გულშემატკივრების მოლოდინი. ეს უპირველესად ავსტრალიელებზე ითქმის. მოგეხსენებათ, მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებს ყოველთვის კარგი ნაკრები ჰყავდათ და საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალადაც ითვლებოდნენ. ავსტრალიელთა ამბიციებს საბერძნეთში ისიც ზრდიდა, რომ ისინი ტურნირის დაწყებამდე ათიოდე დღით ადრე ამერიკაში გამართულ კეთილი ნების თამაშებზე სოლიდურად გამოიყურებოდნენ და მხოლოდ ფინალურ მატჩში დამარცხდნენ მასპინძლებთან. თუმცა საბერძნეთში ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ავსტრალიელებმა თამაში ვერ ააწყვეს, საწყისი ორი შეხვედრა წააგეს და შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ზედიზედ სამ მეტოქეს გაუსწორდნენ, მაინც სანუკვარი რვაეულის მიღმა დარჩნენ.

მეორე უიღბლო ბრაზილიის ნაკრები იყო. საკმაოდ მოულოდნელად, სამხრეთამერიკელებმა ვერ აჩვენეს ის კალათბურთი, რომლითაც ისინი აგრერიგად გამოირჩევიან. ის კი არა, ბრაზილიელებს ყველაზე უსიამოვნო მეტოქემ, დაუძინებელმა მტერმა არგენტინამაც აჯობა და საბოლოოდ თექვსმეტ გუნდს შორის ჩრდილოულ მეზობელზე მაღალი ადგილი დაიკავა. როგორც ჩანს, წლების მანძილზე ბრაზილიელთა უეჭველი ლიდერის — ლეგენდარული ოსკარ შმიდტის კალათბურთიდან წასვლამ უდიდესი გავლენა იქონია ამ ქვეყნის გუნდზე. ბრაზილია ხომ საკალათბურთო ქვეყანა სულაც არ არის და მისთვის ასეთი ვარსკვლავების დაკარგვა უმტკივნეულო როდია.



იუგოსლავია—რუსეთი. იუგოსლავიური ბარიერი რუსებისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა: ბოდიროგა, ბაბკოვი და ბერიჩი

## სკანდალები

ბოლო დროს სპორტის ნებისმიერ სახეობაში დიდ ტურნირებს ესოდენ შემოჩვეულ უსიამოვნო აურზაურს ვერც ათენი გადაურჩა. უპირველესი სკანდალი ნიგერიელთა ცენტრალური თავდამსხმელის ოულიუს ნვოსუს აკრძალული პრეპარატების ხმარებაში მხილება გახლდათ. ისე, უნდა ითქვას, ეს უსიამოვნო შემთხვევა რომ არა, ნიგერიის საკმაოდ სოლიდური ნაკრები, ალბათ, მეორე ეტაპზეც კი გავიდოდა. თუმცა ნვოსუს გარეშე დარჩენილებმა D ჯგუფის ბოლო შეხვედრა ავსტრალიასთან ექვსი ქულით წააგეს და ტურნირს ნაადრევად დაემშვიდობნენ.

აი, მეორე საგანგაშო მოვლენა კი მართლაც უჩვეულო ვითარებაში მოხდა. თურმე ელექტროენერგიის პრობლემა მარტო საქართველოს დარ ქვეყნებს არ აქვთ. F ჯგუფის უკანასკნელი შეხვედრის დროს, მაშინ, როცა არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებები მეოთხედფინალში გამსვლელის ვინაობას არკვევდნენ, მოულოდნელად მთელ ათენში დენი გამოირთო. ორგანიზატორთა სანაქებოდ, მათ ეს პრობლემა მალე მოაგვარეს, მაგრამ ამ შემთხვევამ ჩემპიონობის სტუმრებსა და უბრალო გულშემატკივრებს განწყობა ერთგვარად გაუფუჭა.

## MVP

მსოფლიოს პირველობის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულზე რამდენიმე კალათბურთელი აცხადებდა პრეტენზიას. ესპანელი ალბერტო ერეროსი, იუგოსლაველი ზელკო რებრაჩა, რუსები სერგეი ბაბკოვი და ვასილი კარასიოვი, იტალიელი გრეგორ ფუჩკა ის მოთამაშეები იყვნენ, რომელთაც საბერძნეთში ბრწყინვალე ასპარეზობით ყველაზე მეტად დაგვამახსოვრეს თავი. მაგრამ ტურნირზე იყო კიდევ ერთი კაცი, ვინც სრულიად გამორჩეულ, NBA-ს ვარსკვლავებთან მიახლოებულ თამაშს აჩვენებდა. მიხვდით, ალბათ, საუბარი იუგოსლავიელთა 25 წლის შემტევ მცველ დეიან ბოდიროგაზე გვაქვს. ეს ბიჭი იუგოსლავიის ნაკრების მიერ ჩატარებულ ცხრავე შეხვედრაში თანაგუნდელთაგან საუკეთესო იყო და სრულიად სამართლიანად მოიპოვა MVP-მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის წოდება.

## საით მიდის „სამოყვარულო“ კალათბურთი?

ათენში გამართული მატჩების ხილვისას პირველი, რაც თვალში გეცემოდათ, მაყურებელთა უჩვეულო სიმცირე იყო. განა ვინმე წარმოიდგენდა, რომ ისეთ საკალათბურთო ქვეყანაში, როგორიც საბერძნეთია, მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრებს ოდენ 300-400 კაცი დაესწრებოდა? არ ვიცით, ცხელი ზაფხულის ბრალია თუ სხვა რამის, მაგრამ მასპინძლების მონაწილეობით ჩატარებული მატჩების გარდა გულშემატკივარი არც ერთ თამაშს არ წყალობდა.

თუმცა, ამ მართლაც უსიამოვნო მოვლენას თავად გუნდებზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. ისინი ყოველ შეხვედრას უშეღავათო ბრძოლაში ატარებდნენ და იშვიათად თუ იყო, რომ ერთი ნაკრები მეორეს აშკარად ჯობნიდა.

თუ წლევანდელ ტურნირს ადრე ჩატარებულ ანალოგიურ ჩემპიონატებს შევადარებთ, სრულიად დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეგრეთ წოდებული სამოყვარულო კალათბურთის საერთო მსოფლიო დონე ამაღლდა. სადღაა მონოტონური მოძრაობები, ბურთის უსაშველოდ გრძელი გათამაშებები და ფარქვეშ ლაღი შესვლები! დღეს მოედანზე თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აღარავინ მოგცემს და თითოეული ქულა ურთულესი ბრძოლის ფასად უნდა მოიპოვო.

ისე, თამაშის დონის გაუმჯობესებას (რაც განსაკუთრებით დაცვით კალათბურთს ეხება) სანახაობრივი თვალსაზრისით ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი მოჰყვა. საქმე ისაა, რომ გაუვალი დაცვის გამო გუნდებს მეტოქის კალათის ღალაშქვრა უჭირთ და თითოეულ თამაშში საშუალოდ 55-60 ქულას ძლივს აგროვებენ. ამ მხრივ ძველი კალათბურთი გვარიან უპირატესობას ფლობს. მაშინ ხომ თითქმის ყოველი მეორე თამაშის შემდეგ ტაბლო სამნიშნა რიცხვებს უჩვენებდა.

დაბალი შედეგიანობის მაგალითად თუნდაც ფინალური შეხვედრა გამოდგება, რომელშიც იუგოსლავიელებმა რუსები 64:62 დაამარცხეს, 50:50-ზე კი ბურთი კალათში მთელი ოთხი (!) წუთის განმავლობაში არ ჩადიოდა. ამის მიზეზი, ალბათ, მაინც მოყვარული კალათბურთელების არცთუ მაღალ ოსტატობასა და ზონური დაცვის გამოყენებაში უნდა ვეძებოთ, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, რომ თვით NBA-შიც არანაკლებ მკაცრი დაცვითი თამაში მიმდინარეობს, მაგრამ იქ მატჩები ასეთი მცირე ანგარიშით არ მთავრდება.

მოკლედ, ავად თუ კარგად, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატიც ჩატარდა, რომელმაც საერთო ჯამში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აშკარა პროგრესისა, მოყვარულებს, ალბათ, ათწლეულები და მუხლჩაუხრელი შრომა დასჭირდებათ, სანამ NBA-ს ვარსკვლავებს საკადრის წინააღმდეგობას გაუწევენ.

**ირაკლი ხმელიძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი.

12 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი (ნორვეგია) — ბრიუგე (ბელგია) | (2,0-1,5) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ლკს (ლოძი, პოლონეთი) | (1,01-15,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლიტექსი (ბულგარეთი) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | (3,5-1,2) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გალათასარაი (თურქეთი) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (1,7-1,7) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| სელტიკი (შოტლანდია) — კროაცია (ხორვატია) | (1,8-1,6) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| მარიბორი (სლოვენია) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | (15,0-1,01) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| დინამო (კიევი, უკრაინა) — სპარტა (ჩეხეთი) | (1,4-2,0) | 1,5 | 3,1 | 5,3 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — ბრონდბიუ (დანია) | (3,1-1,25) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ინტერი (იტალია) — სკონტო (ლატვია) | (—-25,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ბენფიკა (პორტუგალია) — ბეითარი (ისრაელი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| დინამო (საქართველო) — ბილბაო (ესპანეთი) ანგარიში — 5.0 | | | | |
| ჰიკ (ფინეთი) — მეცი (საფრანგეთი) | (15,0-1,01) | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ბაიერნი (გერმანია) — ობილიჩი (იუგოსლავია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| შტურმი (ავსტრია) — უიპეშტი (უნგრეთი) | (1,35-2,5) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| სტიაუა (რუმინეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | (2,3-1,4) | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### თასების თასის საკვალიფიკაციო ეტაპი.

13 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუდარი (სლოვენია) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) | (1,4-2,3) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ჰელსინბორგი (შვედეთი) | (50,0-—) | 5,0 | 7,0 | 1,05 |
| ლოზანა (შვეიცარია) — ცემენტი (სომხეთი) | (1,05-7,5) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| კორკ სიტი (ირლანდია) — ცსკა (უკრაინა) | (3,5-1,2) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ეკრანასი (ლიტვა) — აპოლონი (კვიპროსი) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| აპოლონია (ალბანეთი) — გენკი (ბელგია) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ბანგორი (უელსი) — ჰაკა (ფინეთი) | (3,5-1,2) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ლევსკი (ბულგარეთი) — ვიტებსკი (ბელარუსი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლიეპაია (ლატვია) — კეფლავიკი (ისლანდია) | (2,5-1,35) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — რაპიდი (რუმინეთი) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ლანტანა (ესტონეთი) — ჰართსი (შოტლანდია) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ამიცა (პოლონეთი) — ჰიბერნიანი (მალტა) | (1,05-7,5) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| გოტუ (ფარერები) — მტკ (უნგრეთი) | (15,0-1,01) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) | (5,0-1,1) | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| ვარდარი (მაკედონია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) | (2,3-1,4) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ყარაბახი (აზერბაიჯანი) — კოპენჰაგენი (დანია) | (15,0-1,01) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| პარტიზანი (იუგოსლავია) — ბათუმი (საქართველო) ანგარიში — 5.0 | | | | |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. III ტური.

12 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ობერჰაუზენი — ბერლინი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

13 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| გიუტერსლო — უნტერჰახინგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კოტბუსი — ფიურტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მაინცი — კარლსრუე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ზანქტ პაული — ვატენშაიდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ულმი — არმინია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დიუსელდორფი — ურდინგენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

ფსონები მიილება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# დაიხსომეთ ეს სახელები!

## გვინდა ერთი სტეფანიას ნაცვლად ათი?

ახლახან რიგაში გამართული ევროპის ჭაბუკ კალათბურთელთა ჩემპიონატის შესარჩევის-წინა ეტაპი ქართველი ბიჭების ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა ყველა მეტოქე დაჯაბნეს, ოთხივე მატჩი დამაჯერებლად მოიგეს და შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ამ გამარჯვების მნიშვნელობა მით უფრო თვალშისაცემია, რომ მას შემდეგ, რაც ქართული კალათბურთი დამოუკიდებლობის გზას დაადგა, ოფიციალურ ევროპულ ტურნირებში წარმატების ნატრულნი გავხდით.

„სარბიელის" მეშვეობით მკითხველს საშუალება ჰქონდა ოპერატიულად შეეტყო ჩვენებურთა ასპარეზობის შედეგები. რიგიდანაც სულ კარგი და კარგი ისმოდა, ახლა კი, როცა ჩვენი ყოჩაღი ჭაბუკები უკვე შინ არიან, მათ მწვრთნელთან, ნუგზარ ჭეიშვილთან საუბრის ჯერიც დადგა.





ნუგზარ ჭეიშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**— შედეგიც არის და შედეგიც. სიმართლე გითხრათ, ამდენს არ ველოდით.**

— ეტყობა, ჩვენი მეტოქენიც ასე ფიქრობდნენ. ყველა იოლ მოწინააღმდეგედ გვთვლიდა. სათვალავში არ ჩაგვაგდეს, არც ჩვენს ვარჯიშს დაესწრნენ. არადა, ერთმანეთის თამაშის სტილი საფუძვლიანად ჰქონდათ შესწავლილი. ეგ კი არა, გახსნის მატჩზე ბულგარელები სულაც რვა კაცით გამოცხადდნენ. იფიქრეს, ამათ ასეც მოვუგებთო. დაისაჯნენ კიდეც. ჭკუა ვასწავლეთ. სასტარტო ნერვიულობის შემდეგ ბიჭები ჩვეულად, კომბინაციურად ათამაშდნენ და აკი 102:47 გავანადგურეთ კიდეც.

იგივე ბედი ეწიათ ჩეხებსაც. საწყისი ხუთი წუთი თანაბარ ბრძოლაში მიილია. ამის შემდეგ მეტოქე ცოტა არ იყოს მოდუნდა. ჩვენც მეტი რა გვინდოდა, ორწუთიანი მონაკვეთი 10:0 მოვუგეთ, ინიციატივას მთლიანად დავეუფლეთ და მატჩიც მშვიდად დავასრულეთ გამარჯვებით 105:67.

შედარებით დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით პოლონელთაგან და ლატვიელთაგან. პოლონეთს ერთი-ერთი ძლიერი ნაკრები ჰყავს ამ ასაკში. რიგამდეც ხუთ ტურნირში მიეღოთ მონაწილეობა და ოთხში ემარჯვათ კიდეც. თავად განსაჯეთ, როგორი მომზადებულები იქნებოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას მასპინძელთა გუნდზეც. მსაჯების სიმპათიებიც, ბუნებრივია, მათკენ იყო. მიუხედავად ამისა, ბიჭებმა, რომ იტყვიან, თავი დადეს. ზედმიწევნით ასრულებდნენ ჩემს მითითებებს. არც ძლიერი მეტოქის ფაქტორს შეუშინდნენ და პრაქტიკულად უშეცდომოდ ჩაატარეს მთელი ტურნირი. ჩვენი პირველობაც ლოგიკური იყო.

**— გამგზავრებამდეც იმედიანად იყავით, დასახული მიზნის მიღწევა, ანუ სამეულში მოხვედრა არ უნდა გაგვიჭირდესო, ამბობდით...**

— მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე თურქებისა და გერმანელების რამდენიმე თამაში ვნახე. ამ ქვეყნებმა სწორედ ჭაბუკთა ნაკრებები წარადგინეს მოსკოვში. აქედან გამომდინარე, ამ ასაკის კალათბურთელთა საშუალო ევროპულ დონეზე ნაწილობრივ წარმოდგენაც შევიქმენით. ქართველებზე მეტნი ნამდვილად არ ყოფილან და იმედიანობის საფუძველსაც სწორედ ეს გვაძლევდა. ამასთან, ჩემი ბიჭებისაც მჯეროდა. ვხედავდი იმ მონდომებასა და შემართებას, რომელიც აუცილებლად მოიტანდა შედეგს.

**— კმაყოფილი ჩანხართ, ეს კი კარგის ნიშანი უნდა იყოს — წინ ხომ კიდევ ერთი ეტაპია.**

— არ დაგიმალავთ და, გეტყვით, რომ ანგარიშები თამაშის ხარისხზე არ მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ დასახულ მიზანს მივაღწიეთ, მაინც უკმარისობის გრძნობა მეუფლება. ასეთი პოტენციის გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია. მიმაჩნია, რომ გუნდმა შესაძლებლობების მხოლოდ 50 პროცენტი თუ გამოავლინა.

რაც შეეხება მომდევნო ციკლს. სად და როდის გაიმართება, ეს თვის ბოლოს გაირკვევა. ფიბა-დან ასე გვაცნობეს.

**— რიგაში მყოფმა სპეციალისტებმა როგორ შეაფასეს ქართველთა გამოსვლა?**

— ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ჩვენი გუნდი მართლაც საუკეთესო იყო ტურნირზე. სპეციალისტებიც ბევრნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნიდან. ხანგრძლივად არავინ გამომლაპარაკებია, ისინი ყველა თამაშს კამერით იღებდნენ და ალბათ შინ კიდევ დააკვირდებიან ვიდეოჩანაწერს.

ტურნირის დამთავრებისთანავე ჩემთან ასპარეზობის მთავარი მსაჯი, შვედი ოლსენი მოვიდა. გამარჯვება მოგვილოცა, მადლობა გადაგვიხადა და დასძინა, ესეთი გუნდი კარგა ხანია არ მინახავსო.

**— ბატონო ნუგზარ, მთელი ცხოვრება კალათბურთში ტრიალებთ. რა სხვაობას ამჩნევთ ადრინდელ და თანამედროვე კალათბურთს შორის?**

— პროგრესი თვალშისაცემია. დღეს გუნდები ტაქტიკურად უფრო გამართულად თამაშობენ, ადრე კი მთელი მიმზიდველობა სისწრაფესა და დინამიკაში იყო. კალათბურთი დღითიდღე იხვეწება, ვითარდება და ჩვენც ფეხდაფეხ უნდა მოვყვეთ თანამედროვეობას. ქართველმა კადეტებმა დაამტკიცეს, რომ კალათბურთი ჩვენში ჯერ კიდევ ცოცხლობს და გადაშენება არ უწერია. ახლა მთავარია, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მივაქციოთ სპორტის ამ სახეობას, რომელიც ასე მოერგო ქართველი კაცის ბუნებას. ნიჭს დროულად უნდა მივცეთ გაქანება და სწორი მიმართულება, თორემ ნიჭი ნიჭად დარჩება და მეტი არაფერი. ეს ის თაობაა, მილიონების მოტანა რომ შეუძლია როგორც კალათბურთისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის. მერწმუნეთ, დრო მოვა და ჩვენსასაც ვიტყვით ევროპაში. ერთი სტეფანიას ნაცვლად ათი გვეყოლება. თქვენ პირობები თქვით თორემ... უგრეხელიძე, ცქიტიშვილი, ფაჩულია... დაიხსომეთ ეს სახელები, ეს ბიჭები დიდ კალათბურთს ითამაშებენ. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ.


ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ამას წინათ მოსკოვში გახლდით სემინარზე და რუსეთის ჩემპიონატის დახურვის ცერემონიალს შევესწარი. არნახული სანახაობა იყო. რაც იქ თანხა დაიხარჯა, მერწმუნეთ, ჩვენს ფედერაციას ათი წელი ეყოფა. დროა, სერიოზულად დავფიქრდეთ. ჩვენმა მარიფათიანმა ბიზნესმენებმაც იქნებ გადმოგვხედონ მოწყალების თვალით. ამით დღესვე თუ არა, ხვალ იხეირებენ და საკმაოდაც.

**— პრობლემები მართლაც თავზე საყრელად გვაქვს. იქნებ სწორედ ჭაბუკთა ეს წარმატება აღმოჩნდეს მომავალი გამარჯვებების საფუძველი? იქნებ ეს ბიჭები იყვნენ ახალი ერის დასაბამის მაუწყებელნი ქართულ კალათბურთში?**

— ღმერთმა ქნას. ჩვენი ოცნებაც ეგ არის. მონდომებას არც მომავალში დავაკლებთ. ხელშეწყობაც მეტია საჭირო. მარტო ამ წარმატებას არ დავჯერდებით და შევეცდებით, შემდგომი ეტაპიც ასეთივე ალმავლობით განვვლოთ. ეს კი გაისად სლოვენიაში, დასკვნით ტურნირზე ასპარეზობის გარანტი იქნება.

შესაძლებელია, შესარჩევის მეორე ტური სულაც საქართველოში გაიმართოს. ამის შანსები სწორედ ჩვენმა გამარჯვებამ გაგვიჩინა, თუმცა საბოლოო სიტყვა მაინც ფიბაზეა. ვფიქრობ, მსგავსი ტურნირის მასპინძლობის უნარი ჩვენც შეგვწევს.

ბოლოს ერთი სიახლეც მინდა გაცნობოთ. დიდი სურვილი გვაქვს, ეს ბიჭები არ დავშალოთ და ეროვნულ პირველობაზე ცალკე გუნდად ვიასპარეზოთ. სწორედ ამის თაობაზე უნდა ვესაუბროთ ფედერაციის თავკაცებს. განათლების სამმართველოცა და ვერის საკალათბურთო დარბაზის ხელმძღვანელობაც თანადგომას შეგვპირდა. თუ ამის უფლებას მოგვცემენ, ამით მართლაც კარგი საქმე გაკეთდება. ბიჭები უფრო შეთამაშდებიან, შეეთვისებიან ერთმანეთს, რაც ერთი-ორად გაზრდის ჩვენი წარმატებების შანსებს უახლოესი ტურნირებისთვის.

**გიორგი ბიკაშვილი**

# გვედირსა სიმაღლე მოქნილი და გონიერი

სიმაღლე, მით უმეტეს „მოქნილი და გონიერი სიმაღლე", ჩვენი კალათბურთისთვის ზოგადად და რიგაში გამარჯვებული ჩვენი ჭაბუკების გუნდისთვის კერძოდ, სანატრელი აღარ ჩანს, იგი დღეს რეალობაა — სინამდვილედ ქცეული მრავალი წლის ნაოცნებარი. ვინ არიან ისინი, ვინც საქართველო უნდა წარადგინოს XXI საუკუნეში და წარადგინოს უპირველესად ინტეგრირებულ ევროპაში, სადაც საქართველომ, სხვა სფეროებთან ერთად, სპორტული პარამეტრებითაც უნდა მოიპოვოს კუთვნილი ადგილი:

| | | | |
|---|---|---|---|
| დავით უგრეხელიძე | ცენტრი | 208 სმ | „კოლხა" |
| გიორგი მარკოიშვილი (კაპიტანი) | თავდამსხმელი | 198 სმ | „მართვე" |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ცენტრი | 210 სმ | „კოლხა" |
| ზაზა ფაჩულია. | ცენტრი | 207 სმ | „მართვე" |
| გიორგი ჩავლეიშვილი | ცენტრი | 200 სმ | „მართვე" |
| თემურ მანველიშვილი | ცენტრი | 205 სმ | „დინამო" |
| ირაკლი კეიდია | თავდამსხმელი | 203 სმ | „მართვე" |
| კოტე ტულუში | თავდამსხმელი | 192 სმ | „ვითა" |
| შალვა ხეცურიანი | თავდამსხმელი | 196 სმ | „დინამო" |
| ბადრი ნათობაძე | გამთამაშებელი | 186 სმ | „მართვე" |
| ბაჩანა სულაძე | გამთამაშებელი | 182 სმ | „მართვე" |
| გიორგი მარხვაშვილი | გამთამაშებელი | 185 სმ | „მართვე" |
| რევაზ თოდუა | თავდამსხმელი | 188 სმ | „კოლხა" |

ახლა კი, საჭირო დასკვნების გამოსატანად, ჩვენი ბიჭების მონაწილეობით გამართული რიგული შეხვედრების ოქმებსაც (უფრო სწორად, ოქმების ჩვენთვის საინტერესო ნაწილს) გადავხედოთ.

5 აგვისტო

**საქართველო 102:47 (44:25) ბულგარეთი**

**ფაჩულია (7), კეიდია (12), მარხვაშვილი (7), ხეცურიანი (8), ტულუში (9), სულაძე (10), ნათობაძე (2), მარკოიშვილი (16), ჩავლეიშვილი (10), მანველიშვილი (2), უგრეხელიძე (15), ცქიტიშვილი (4).**

6 აგვისტო

**საქართველო 105:67 (59:20) ჩეხეთი**

**ფაჩულია (2), კეიდია (16), მარხვაშვილი (5), ხეცურიანი (10), ტულუში (17), სულაძე (3), ნათობაძე (4), მარკოიშვილი (6), ჩავლეიშვილი (4), მანველიშვილი (2), უგრეხელიძე (17), ცქიტიშვილი (19).**

7 აგვისტო

**საქართველო 83:74 (31:30) პოლონეთი**

**ფაჩულია (18), კეიდია, მარხვაშვილი, ხეცურიანი (5), ტულუში (15), სულაძე (4), მარკოიშვილი (13), ჩავლეიშვილი (2), მანველიშვილი, უგრეხელიძე (20), ცქიტიშვილი (8).**

9 აგვისტო

**საქართველო 65:60 (39:24) ლატვია**

**ფაჩულია (10), კეიდია (1), მარხვაშვილი, ხეცურიანი (4), ტულუში (20), სულაძე (4), მარკოიშვილი (9), ჩავლეიშვილი (2), უგრეხელიძე (11), ცქიტიშვილი (4).**

ჩვენი მოთამაშეების მიერ დაგროვებული ქულები გვიჩვენებს, რომ ნაკრებში ერთპიროვნული ლიდერი არ იკვეთება, აქ ჩანს ძირითადი ბირთვის — 5-7 კაცი, რომელთა შორის თითქმის თანაბრად ნაწილდება საერთო შედეგი. ასეთი გუნდი, როგორც წესი, უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალია და, რაც მთავარია, უფრო ხშირად აღწევს წარმატებას. მხოლოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საუკეთესო შედეგების მქონე მოთამაშეთა ნუსხაში ჩვენმა კალათბურთელებმა პირველი პოზიციები დათმეს:

2 ქულიანი გდება

| | | |
|---|---|---|
| 1. პეტრე კოევი (ბულგარეთი) | 21-დან — 12 | 57% |
| 2. კოტე ტულუში (საქართველო) | 25-დან — 14 | 56% |
| 3. არტურ ბაჟერი (პოლონეთი) | 36-დან — 20 | 56% |

3 ქულიანი გდება

| | | |
|---|---|---|
| 1. კრისტაპ ჟანიჩენოკი (ლატვია) | 16-დან — 9 | 56% |
| 2. მონვიდს პირსკო (ლატვია) | 21-დან — 10 | 48% |
| 3. კოტე ტულუში | 11-დან — 5 | 45% |

მოხსნები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. არტურ ბაჟერი | 58 | საშუალოდ | 14,5 |
| 2. ვოჟიეჩ ბარისი (პოლონეთი) | 37 | —„— | 9,3 |
| 3. გატის მელდერისი (ლატვია) | 37 | —„— | 9,3 |
| 4. დავით უგრეხელიძე (საქართველო) | 36 | —„— | 9,0 |
| 5. ზაზა ფაჩულია (საქართველო) | 33 | —„— | 8,3 |
| 6. ნიკა ცქიტიშვილი (საქართველო) | 30 | —„— | 7,5 |

შედეგიანი გადაცემა

| | | |
|---|---|---|
| 1. გატის მელდერისი | საშუალოდ | 4 |
| 2. ბადრი ნათობაძე (საქართველო) | —„— | 3 |
| 3. მარსინ შტეფანსკი (პოლონეთი) | —„— | 3 |
| 4. ბაჩანა სულაძე (საქართველო) | —„— | 2,8 |

ყველაზე შედეგიანები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. გრეგორი კუკიელკა (პოლონეთი) | 77 ქულა | საშუალოდ | 19,3 |
| 2. კრისტაპ ჟანიჩენოკი | 77 —„— | —„— | 19,3 |
| 3. დავით უგრეხელიძე | 63 —„— | —„— | 15,8 |
| 4. კოტე ტულუში | 61 —„— | —„— | 15,3 |

შეგახსენებთ იმასაც, თუ როგორ განაწილდა საბოლოოდ ადგილები ქვეჯგუფში:

1. საქართველო
2. პოლონეთი
3. ლატვია
4. ჩეხეთი
5. ბულგარეთი

თამაშთა დეტალური ანალიზი არ არის საჭირო საიმისოდ, რომ ვთქვათ: ქართველმა კადეტებმა ყოველ ჯერზე კარგად ორგანიზებული და ენერგიული თავდასხმის წყალობით დაამარცხეს მეტოქე. მაგრამ, წარმატება რომ სტაბილური იყოს, გუნდს ასეთივე დონის დაცვაც უნდა ჰყავდეს, აქ კი ჯერჯერობით ხარვეზები გვაქვს. ხარვეზები, რომელთა მიზეზი უფრო გამოუცდელობაა, ვიდერ უუნარობა. ჩვენმა ბიჭებმა პირველად იასპარეზეს ასეთი რანგის ტურნირში, ამასთან, გულისტკივილით შევნიშნავთ იმასაც, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ უსახსრობის გამო ვერც ერთი შეკრების მოწყობა ვერ მოახერხა შეჯიბრების დაწყების წინ. ეს კი რასაც ნიშნავს, სპორტსმენებმა კარგად იციან.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ჭაბუკთა ნაკრები შესაშური პოტენციალის მქონე მზარდი გუნდია, რაც წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა და ამჟამად შესანიშნავი საკალათბურთო კერძო სკოლის ხელმძღვანელმა ვალდის ვალტერსმაც აღნიშნა. მისი თქმით, ასეთი მონაცემებით დაჯილდოებული კადეტების კრებული მას არ უნახავს.

წარმატება უდავოდ დიდი იყო, რასაც შენარჩუნება უნდა. სათანადო სამზადისი სათანადო ხარჯებით დღეიდანვე უნდა დაიწყოს, თორემ „მარტო ბუნება" რას იზამს, თუ „წვრთნამაც არ უშველა"?

**გვანცა ომიაძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29